პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი | № 231 (12439) | კვირა, 30 სექტემბერი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

ვენახი, ყურძენი — ჩვენი სიმდიდრე

მკრნს შემოდგომა დაუდგათ საქართველოს მევენახეებს. მოინახულეთ ჩვენი რესპუბლიკის ზვრები, დახუნძლული ვაზები, მტევნების სიძძიმისაგან რომ იზნიქებიან, და დარწმუნდებით, რომ ქართველ მევენახეებს, მიუხედავად ზოგიერთ რაიონში არახელსაყრელი ამინდისა, შეუძლიათ სამშობლოს უპატაკონ სახელმწიფოსათვის 190.000 ტონა ყურძნის მიყიდვა.

რთველი მეტად პასუხსაგები პერიოდია, იგი მევენახის შრომის სიხარულია, ზეიმია. რთველში ხდება ნაკაფარის შეჯამება, ამატომ არის, რომ ვენახებში სამუშაოთა დამთავრებისთანავე იწყება რთვლისათვის, ყურძნის მიღება-გადამუშავებისათვის მზადება.

როგორც ცნობილია, წელს რესპუბლიკაში 190.000 ტონა ყურძენი უნდა დამზადდეს. აქედან 186.635 ტონას სამრეწველო ღვინის ქარხნები გადაამუშავებენ, ხოლო 3.365 ტონას დაამზადებს „თბილისლიმონტანავაჭრობა". კახეთის რაიონებში რთველი კარგა ხანია დაიწყო. პირველი დღეების შედეგებიდან ნათელია, რომ თუ მოზღვავებულ მოსავალს დროზე მოკრეფენ, ხოლო ღვინის ქარხნები შეუფერხებლად მიიღებენ და გადაამუშავებენ, ადგილი არ ექნება დანაკარგებს. თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ, მიუხედავად ზოგიერთ რაიონში ხელშეშლელი სტიქიური მოვლენებისა, რესპუბლიკის მევენახეები ყურძნის დამზადების წლიურ გეგმას შეასრულებენ.

გურჯაანის საწარმოო სამმართველომ გეგმით 32.855 ტონა ყურძენი უნდა დაამზადოს. სულ რამდენიმე დღეში წლიური გეგმის ნახევარზე მეტი უკვე გადაამუშავეს. 29 სექტემბრისათვის დამზადებული იყო 16.772 ტონა ყურძენი, ანუ წლიური გეგმის 51 პროცენტი. უნდა ვივარაუდოთ, რომ გურჯაანელები გეგმას უფიროდ შეასრულებენ.

სიღნაღის საწარმოო სამმართველოს ჯენახები სასიამოვნო სანახავია. როგორც ხანდახშული, გამოცდილი მევენახეები ამბობენ, ასეთ რთველს დიდი ხანია არ მოსწრებიან. სიღნაღელებმა წელს გეგმით 14.460 ტონა ყურძენი უნდა დაამზადონ. მათ წლიური გეგმა უკვე 72 პროცენტით აქვთ შესრულებული. გეგმას ვინ დასჯერდება. სიღნაღელ მევენახეთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა წლიური გეგმა თითქმის ორმაგად შეასრულონ.

კახეთის რაიონებმა წელს 85.015 ტონა ყურძენი უნდა დაამზადონ. უკვე დამზადებულია 40.384 ტონა ყურძენი. სიღნაღისა და გურჯაანის საწარმოო სამმართველოების მშრომელებმა სიტყვა მისცეს სამშობლოს, რომ კახეთის რაიონების გეგმას ძირითადად ისინი შეასრულებენ. ყურძნის უხვ მოსავალს მოელიან დასავლეთ საქართველოს მევენახეებიც.

რთვლის პირველი დღეები მოწმობს, რომ რესპუბლიკის მევენახეები პარტიისა და საბჭოთა მთავრობისათვის მიცემულ სიტყვას სასახელოდ შეასრულებენ. მევენახეები კი ასრულებენ თავიანთ სიტყვას, მაგრამ მარტო მოსავლის მოყვანა ხომ არ არის მთავარი. საქმე ის არის, რომ შრომითა და გარჯით მოყვანილი ყურძნის არცერთი მტევანი, არცერთი მარცვალი არ დაიკარგოს. ამ საქმეში დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ სამტრესტის ღვინის ქარხნებს. მათი საპატიო ვალია მევენახეთა გარჯის ნაყოფი შეუფერხებლად მიიღონ, გადაამუშაონ და დაამბინაონ, იბრძოლონ ქართული ღვინის მარკის შემდგომი სრულყოფისათვის.

ფაქტები მოწმობენ, რომ რესპუბლიკის მეტ წილ ღვინის ქარხნებში ყველაფერი წესრიგზეა. დროულად შეაკეთეს ყურძნის გადასამუშავებელი დანადგარები, გარეცხეს ჭვევრები, კასრები და სხვა ტარაჭურჭელი. ყურძნის მიღება-გადამუშავება შეუფერხებლად მიმდინარეობს ყვარლის, საგარეჯოს, თელავის და სხვა რაიონების ღვინის ქარხნებში. ღვინის ქარხნები სავსებით მზად არიან ზესტაფონის, მაიაკოვსკის, ვანის, გორის და სხვა რაიონებში.

წარმატებებთან ერთად არის სერიოზული ნაკლიც. სიღნაღის ქარხანათა სამმართველოს ღვინის ქარხნებმა წელს გეგმით 7.660 ტონა ყურძენი უნდა მიიღონ და გადაამუშაონ. მაგრამ, როგორც ზემოთ ვთქვით, სიღნაღის საწარმოო სამმართველოში ყურძნის ზღვა მოსავალი მოვიდა. რთველი ერთდროულად გაჩაღდა საკოლმეურნეო და საკარმიდამო ვენახებში. მართალია, ქარხანათა სამმართველოს საკმაო რაოდენობით აქვს ტარა-ჭურჭელი, მაგრამ წნორის, ტიბაანისა და ანაგის ღვინის ქარხნები მოზღვავებული მოსავლის მიღება-გადამუშავებას ვერ აუდიან. მიზეზი? მიზეზი, ჯერ—ერთი, ის არის, რომ რაიონში არ არის კარგად შედგენილი ყურძნის კრეფის გრაფიკი. მართალია, საკარმიდამო ვენახების მფლობელებს კრეფის გრაფიკს ვერ შეუდგენთ, მაგრამ კოლმეურნეობებში შეგვეძლო მტკიცედ დაგვეცვა ეს გრაფიკი. მეორეც, ერთი-ორი ყურძნის საწურავი დანადგარი საქმეს ვერ შველის. ეს რომ არა, მაშინ ბოდბისხეველ ან ჯუგაანელ კოლმეურნეს თითქმის ოცდაათ კილომეტრზე ლაგოდეხის რაიონში არ მოუხდებოდა ყურძნის გადატანა. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ სიშორეზე ყურძნის გადატანა, ისიც გოდრებით, დიდძალ დანაკარგს იწვევს. ასეთივე ფაქტებს ვხვდებით გურჯაანის რაიონში არსებულ ღვინის ქარხნებში. არის ფაქტები, რომ გურჯაანის რაიონიდან წინანდლის ღვინის ქარხანაში მიაქვთ ყურძენი. განა ეს დასაშვებია?

გვარწმუნებენ, რომ სამტრესტის ყველა ღვინის ქარხანა სავსებით მზად არის და უზრუნველყოფილია ტარა-ჭურჭლით. ერთი შეხედვით ეს თითქოს სწორია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ წნორის, ტიბაანის, კარდანახის და სხვა ღვინის ქარხნები ყურძნის გადამუშავებას ვერ აუდიან. წინანდლიდან, თელიანიდან და სხვა ქარხნებიდან ტარა-ჭურჭელი ახლა გადააქვთ კარდანახში, წნორში, ტიბაანში. განა ახლა გახდა ცნობილი, რომ წინანდლასა და ნაფარეულს ზედმეტი ჰქონდათ ტარა-ჭურჭელი?

ერთი შენიშვნაც: მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში ხმარებაში აღარ არის გოდრები, მაგრამ კოლმეურნეობებში რატომღაც თაყვანს სცემენ მამაპაპურ წნელის გოდრებს. გოდრები ცუდი როდია, როცა ყურძენს მოკლე მანძილზე ეზიდებიან, მაგრამ არ გამოდგება იქ, სადაც ავტომანქანებით შორ მანძილზე გადააქვთ. თუ ვიანგარიშებთ, აღმოჩნდება, რომ დიდძალ ყურძნის წვენს ვკარგავთ გოდრებით შორ მანძილზე ყურძნის გადატანის დროს. საჭირო იყო დროზე გვეფიქრა ხის თავღია კასრების შეძენისათვის.

სულ ახლახან დამთავრდა მევენახეთა და მეღვინეთა საერთაშორისო კონგრესი, რომელიც ჩვენში გაიმართა. ქართულმა ვენახმა და ღვინომ ამით უფრო შორს გაითქვა სახელი. საქართველოს მევენახეთა და მეღვინეთა პატივისა და სახელის საქმეა უფრო განამტკიცონ მოპოვებული წარმატებები.

მევენახეებო! ახალი შრომითი გამარჯვებებით შეეხვედეთ ოქტომბრის 45-ე წლისთავის დღესასწაულს. დროზე და უდანაკარგოდ ვკრიფოთ ყურძენი, სასახელოდ ჩავატაროთ რთველი. გახსოვდეთ, რომ დიდი და საპატიო მიზნა გაქვთ ასაღები. ეს არის ბრძოლა 190.000 ტონა ყურძნისათვის.

ფ. რ. კოზლოვმა და ა. ნ. კოსიგინმა

მრიღეს პრინცი სუფანუვონგი

28 სექტემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა და ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ფ. რ. კოზლოვმა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ამხ. ა. ნ. კოსიგინმა მიიღეს ლაოსის დროებითი კოალიციური მთავრობის პრემიერ-მინისტრის მოადგილე, ეკონომიკისა და დაგეგმვის მინისტრი და ნეო ლაო ჰაკ სატის პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე პრინცი სუფანუვონგი, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება.

ამხანაგებს ფ. რ. კოზლოვსა და ა. ნ. კოსიგინს და პრინც სუფანუვონგს შორის საუბარმა მეგობრულ, გულითად ვითარებაში ჩაიარა.

დარბაზობას დაესწრო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ამხ. გ. მ. პუშკინი. (საკდესი).

ლ. ი. ბრეჟნევი ბრიონის კუნძულებზე

ბრიონი, 29 სექტემბერი. (საკდესი). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, რომელიც საპასუხო ვიზიტად იმყოფება იუგოსლავიაში, გუშინ საღამოს იუგოსლავიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სასწავლო გემით „გალები" ჩამოვიდა ბრიონში.

მგზავრობის დროს ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა ხორვატიის მატროსებსა და ოფიცრებს, ახალი წარმატებანი უსურვა მათ. ლ. ი. ბრეჟნევმა სურათი გადაიღო „გალების" ეკიპაჟთან, აჩუქა მას ვ. ი. ლენინის ბიუსტი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ახლდნენ საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარის მოადგილე ა. რანკოვიჩი, ხორვატიის სახალხო რესპუბლიკის აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარე ზ. ბრკიჩი, იუგოსლავიის ელჩი საბჭოთა კავშირში ც. მიიატოვიჩი და სხვა ოფიციალური პირები.

ბრიონში ლ. ი. ბრეჟნევს შეხვდა იუგოსლავიის პრეზიდენტი იოსიპ ბროზ ტიტო. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს შეხვდნენ აგრეთვე საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანი კ. პოპოვიჩი, საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს წევრები.

ღირსეული შეხვედრა ოქტომბერს

საოქტომბრო საჩუქრები

ფეიქართა წარმატება

თბილისი მეორე სატრიკოტაჟო ფაბრიკის კორპუსებში რიტმულად გუგუნებენ დაზგები, ყოველდიურად მატულობს შრომის ტემპი, რათა წარმატებით გაანაღდონ საოქტომბროდ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები. პირველი წარმატება უკვე მოპოვებულია. ფეიქრებმა ცხრა თვის გეგმა 26 სექტემბრისათვის შეასრულეს და განვლილ პერიოდში გეგმის გადამეტებით 19 ათასი მანეთის ტრიკოტაჟი გამოუშვეს.

მუყაითი და გონივრული შრომის შედეგად შრომის ნაყოფიერება 2,5 პროცენტით ამაღლდა, ყოველ ერთ მანეთ სასაქონლო პროდუქციაზე ხარჯი ორი კაპიკით შეამცირეს და 34.700 მანეთი დაზოგეს.

რეკორდული ბაკლაკი

დიდი ვალდებულებანი, რომლებიც ამიერკავკასიის რკინიგზის მშრომელებმა იკისრეს დიდი ოქტომბრის 45-ე წლისათვის აღსანიშნავად, წარმატებით ხორციელდება. მაგისტრალის კოლექტივმა ვადამდე 105,2 პროცენტით გაანაღდა სახალხო-სამეურნეო ტვირთის დატვირთვისა და გაგზავნის ცხრა თვის პროგრამა. გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით ტვირთზიდვის მოცულობა 10,3 პროცენტით გაიზარდა. გეგმის გადამეტებით გადაზიდულია ასეულ ათასობით ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი: ქვანახშირი, მადანი, ცემენტი, ხე-ტყე.

გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე მგზავრთა გადაყვანის გეგმა. (საკდესი).

ცხრა თვის გეგმა — გადაჭარბებით

დიდი ოქტომბრის 45-ე წლისთავისათვის ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის ბრონლაში პირველი წარმატება უკვე მოიპოვა თბილისის პირველი სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა. ან ვადამდე შეასრულეს ცხრა თვის გეგმა და განვლილ პერიოდში გეგმის გადამეტებით გამოუშვეს ორი ათასი ცალი პალტო.

პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება 1,3 პროცენტით გაადიდეს. დაზოგეს 32.800 კვადრატული მეტრი ძალის, ბამბეულისა და ბამბის ქსოვილები, ითვისეს და წარმოებაში დანერგეს 80 ახალი ფასონის პალტო და კაბა.

გულითადი შეხვედრა თურქმენეთის მიწაზე

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი მურღაბის ველზე

მარი, 28 სექტემბერი. (საკდესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ორი დღის განმავლობაში ეცნობოდა მარის ოლქს. თურქმენეთში ძვირფას სტუმარს ყველგან გულითადად ხვდებოდნენ. დღეს დილით ნ. ს. ხრუშჩოვი ეწვია მურღაბის რაიონის კოლმეურნეობა „მოსკოვს". დაბის ქუჩები სადღესასწაულოდ არის მორთული. საბჭოთა მთავრობის მეთაურის შესახვედრად ბამბის მინდვრების ათასობით მშრომელი მოვიდა.

სასოფლო-სამეურნეო არტელი „მოსკოვი" დიდი მრავალდარგოვანი მეურნეობაა. აქ ბამბის წარმოება 10 წელიწადში ერთიორად გადიდდა და ახლა 1.600 ტონას აღემატება. სულ მთლად შეიცვალა საკოლმეურნეო სოფლის სახე.

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს ყოველივე ეს უამბო სასოფლო-სამეურნეო არტელის თავმჯდომარემ მუჰამედდურდი საჰამეტოვმა.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი იყო კოლმეურნეობის მინდვრებში, იკითხა ბამბის ჯიში და მოსავლიანობა, აღნიშნა, რომ ბამბის თვითღირებულება დიდია, რჩევა მისცა უფრო ფართოდ დანერგონ კომპლექსური მექანიზაცია.

საკოლმეურნეო მეცხოველეობის მდგომარეობას რომ გაეცნო, ნ. ს. ხრუშჩოვმა ურჩია კოლმეურნეობას ყველაზე სერიოზული ყურადღება მიაპყროს მტკიცე საკვები ბაზის შექმნას, უწინარეს ყოვლისა იმ გზით, რომ გააფართოოს სიმინდის ნათესები და გაადიდოს მისი მოსავლიანობა, გაადიდოს პარკოსანთა წარმოება.

სტუმართმოყვარე კოლმეურნეებმა ნიკიტა სერგის-ძეს გამოთხოვებისას მიართვეს ეროვნული თურქმენული ხალათი და დიდი თეთრი თელფი (ფაფახი). ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს თურქმენეთის მშრომელთა სახელით უძღვნეს ახალთექური ჯიშის ლამაზი ცხენი.

საბჭოთა მთავრობის მეთაურმა მადლობა გადაუხადა კოლმეურნეებს საჩუქრებისათვის, გამოეთხოვა და თანმხლებ პირებთან ერთად გაეგზავრა ბაირამ-ალის რაიონის ყამირის საბჭოთა მეურნეობა „მოსკოვში".

საბჭოთა მეურნეობა „მოსკოვი" მებამბეობის დიდი მეურნეობაა, რამდენიმე წლის წინათ შეიქმნა ყარაყუმის არხის ზონაში. მისი სავარგულები 15 ათას ჰექტარზეა გადაჭიმული. წელს, მოსავალს შარშანდელზე კარგი პირი უჩანს. ყოველივე ეს ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს უამბო საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ს. ფ. გრაჩოვმა.

ნიკიტა სერგის-ძემ იკითხა, თუ როგორია მეურნეობის რენტაბელობა. როცა შეიტყო, რომ საბჭოთა მეურნეობას შარშან ზარალი მოსვლია, თქვა, ეს ძირითადად ყამირი მიწების არასწორი ათვისების შედეგიაო. თურქმენეთის ყამირი ისევე უნდა ავითვისოთ, თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა, როგორც მშიერი ველის ათვისება ხდებაო. იქ თავიდანვე აიღეს მიწების ინდუსტრიული, გეგმაზომიერი ათვისების კურსი. ნიკიტა სერგის-ძე რჩევას იძლევა შექმნან მშენებელთა, ბრიგადირთა, სხვადასხვა სპეციალისტთა მოსამზადებელი სკოლები, უფრო ფართოდ გადაიღონ მოწინავეთა გამოცდილება, უზრუნველყონ, რომ კადრებმა ისწავლონ ახალი, პროგრესული.

— თქვენ გყავთ თქვენი თურსუნყულოვები, — ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი, — მათგან უნდა ისწავლოთ, შექმნათ მოწინავე გამოცდილების სკოლები.

ნიკიტა სერგის-ძე ამბობს: ხომ არ აჯობებს, რომ მებამბეობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა თავმოყრილი იყოს ერთ ხელში, მაგალითად, ტაშკენტში, ხოლო რესპუბლიკებში შეიქმნას ხალური საცდელი სადგურები?

წელს საბჭოთა მეურნეობა „მოსკოვმა" ჰექტარზე 315 ცენტნერი სიმინდის მწვანე მასა მოიწია. ამხანაგი ხრუშჩოვი ამბობს, რომ ეს ძალიან ცოტაა, რჩევას იძლევა, რომ მიწების დამლაშების წინააღმდეგ საბრძოლველად გამოიყენონ საბჭოთა მეურნეობა „პახტა-არალის" გამოცდილება, სადაც ვერტიკალურ დრენაჟს იყენებენ.

არ უნდა იყოს ისეთი მდგომარეობა, აღნიშნავს ნიკიტა სერგის-ძე, რომ თანაბარ პირობებში მყოფი მეურნეობები სხვადასხვა შედეგს იღებდნენ მუშაობაში. ყველაფერი, რაც კარგი რამ აქვთ მეზობლებს, ყველა კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობისა და რაიონის წარმოებაში უნდა დაინერგოს.

საბჭოთა მეურნეობა „მოსკოვიდან" ნიკიტა სერგის-ძე ბაირამ-ალიში გაეგზავრა. ქალაქის მშრომელები მხურვალედ მიესალმნენ ძვირფას სტუმარს.

ამხანაგი ხრუშჩოვი შემდეგ ყარაყუმის არხზე იყო.

სტუმრად მენავთობეებთან

29 სექტემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ჩავიდა თურქმენ მენავთობეთა ქალაქში — ნებიტ-დაღში. მას ახლავან — თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ოვეზოვი, თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი მ. ა. პიმენოვი, თურქმენეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ბაირამოვი, თურქმენეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ანალიევი.

უდიდესი სიხარულით შეხვდნენ ქალაქის მშრომელები ძვირფას სტუმარს. ათასობით ადამიანი გამოვიდა საზეიმოდ მორთულ ქუჩებში. სახელმოხვეჭილმა მბურღავმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა ბაირამ ალაბერდიევმა და ნებიტ-დაღის ნავთობსარეწი სამმართველოს მოწინავე ოპერატორმა ნურსოლტან ბერდიევამ ტრადიციული პურმარილი მიართვეს ნიკიტა სერგის-ძეს. პიონერებმა ყვავილები უძღვნეს მას.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი გაეცნო შუა აზიის ერთ-ერთი უდიდესი — კოტურ-ტერპის ნავთობის საბადოს „შავი ოქროს" მბურღავთა და მომპოვებელთა მუშაობას. ეს საბადო ვ. ი. ლენინის სახელს ატარებს. თურქმენეთში ყველაზე ახალგაზრდა და ყველაზე პერსპექტიული საბადოს ათვისებამ საშუალება მისცა რესპუბლიკას სწრაფი ტემპით გაედიდებინა საწვავის მოპოვება.

ოსტატ ი. პ. ლოტკოვის ჭაბურღილზე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი დაინტერესდა ბურღვის ყველაზე პროგრესული მეთოდით — ელექტრობურღვით, ესაუბრა ბრიგადის წევრებს.

შემდეგ ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი იყო კომუნისტური შრომის ბრიგადაში, რომელსაც ახალგაზრდა ინჟინერი ორაზ ატაევი ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადაში ერთსულოვან ოჯახად მუშაობენ მრავალი ეროვნების წარმომადგენლები, მენავთობეები მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებენ სოციალისტურ ვალდებულებებს, არაერთხელ მოიპოვეს პირველობა სრულიად საკავშირო შეჯიბრებაში. ამის შესახებ სიამაყით უამბეს ძვირფას სტუმარს ორაზ ატაევმა და მისი ბრიგადის წევრებმა.

ნავთობმომპოვებელთა თხოვნით ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა სურათი გადაიღო ო. ატაევის ბრიგადის წევრებთან ერთად.

გამოეთხოვა რა მენავთობეებს, ნიკიტა სერგის-ძემ უსურვა მათ ახალი წარმატებანი შრომაში.

ნებიტ-დაღიდან ნ. ს. ხრუშჩოვი აშხაბადს გაემგზავრა.

ფ. რ. კოზლოვმა და ა. ნ. კოსიგინმა

მრიღეს პრინცი სუფანუვონგი

28 სექტემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა და ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ფ. რ. კოზლოვმა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილე ამხ. ა. ნ. კოსიგინმა მიიღეს ლაოსის დროებითი კოალიციური მთავრობის პრემიერ-მინისტრის მოადგილე, ეკონომიკისა და დაგეგმვის მინისტრი და ნეო ლაო ჰაკ სატის პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე პრინცი სუფანუვონგი, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება.

ამხანაგებს ფ. რ. კოზლოვსა და ა. ნ. კოსიგინს და პრინც სუფანუვონგს შორის საუბარმა მეგობრულ, გულითად ვითარებაში ჩაიარა.

დარბაზობას დაესწრო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ამხ. გ. მ. პუშკინი. (საკდესი).

ლ. ი. ბრეჟნევი ბრიონის კუნძულებზე

ბრიონი, 29 სექტემბერი. (საკდესი). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, რომელიც საპასუხო ვიზიტად იმყოფება იუგოსლავიაში, გუშინ საღამოს იუგოსლავიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სასწავლო გემით „გალები" ჩამოვიდა ბრიონში.

მგზავრობის დროს ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა ხორვატიის მატროსებსა და ოფიცრებს, ახალი წარმატებანი უსურვა მათ. ლ. ი. ბრეჟნევმა სურათი გადაიღო „გალების" ეკიპაჟთან, აჩუქა მას ვ. ი. ლენინის ბიუსტი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ახლდნენ საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარის მოადგილე ა. რანკოვიჩი, ხორვატიის სახალხო რესპუბლიკის აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარე ზ. ბრკიჩი, იუგოსლავიის ელჩი საბჭოთა კავშირში ც. მიიატოვიჩი და სხვა ოფიციალური პირები.

ბრიონში ლ. ი. ბრეჟნევს შეხვდა იუგოსლავიის პრეზიდენტი იოსიპ ბროზ ტიტო. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს შეხვდნენ აგრეთვე საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანი კ. პოპოვიჩი, საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს წევრები.

ზრომითი გამარჯვება

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მხურვალედ მიეფერცეს კურსკის ოლქის ყველა მშრომელს სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვის სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულება და გამოთქვეს რწმენა, რომ ოლქის სოფლის მეურნეობის მუშაკები უზრუნველყოფენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომ გადიდებას.

კურსკის ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებიც ახორციელებენ პარტიის XXII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადწყვეტილებებს, შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებანი — სახელმწიფოს მიჰყიდეს 33 მილიონი ფუთი პური — 1 მილიონი ფუთით მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული.

სახელმწიფოსათვის მარცვლის მიყიდვა გრძელდება. (საკდესი).

ჩაის ფოთოლს კრეფენ ვალდებულების გადამეტებით

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებით გლის რაიონის მეჩაიეებმა ნაკისრი ვალდებულება გადაჭარბებით შეასრულეს. პირველი ვალდებულებით სულ უნდა მოეკრიფათ 13.850 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ფაქტიურად უკვე მოკრიფეს 14.213 ტონა. ეს შარშან ამავე პერიოდში მოკრეფილს 1.400 ტონით აღემატება.

თავი ისახელა მუხურის კოლმეურნეობა „შეშელეთმა". აქ ვალდებულებით ნაკისრი 220 ტონის ნაცვლად მოკრიფეს 252 ტონა ჩაის ნედლეული, სოფელ რეჩხის წერეთლის სახელობის კოლმეურნეობამ მოკრიფა 255 ტონა. ვალდებულება კი 220 ტონის მოკრეფას ითვალისწინებდა. ოქტომის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ მოკრიფა 807 ტონა „მწვანე ოქრო" და ვალდებულებას 67 ტონით გადაამეტა. კრეფა გრძელდება. დღეში 20-25 ტონა ჩაის ფოთოლი იკრიფება.

ლანჩხუთელ მეჩაიეებს ვალდებულებით უნდა მოეკრიფათ 9.300 ტონა „მწვანე ოქრო", უკვე მოკრიფეს 9.490 ტონაზე მეტი. დღეში 20-22 ტონა ჩაის ფოთოლი იკრიფება. ქვემო აკეთის კოლმეურნეობამ მოკრიფა 604 ტონა ჩაის ნედლეული ნაცვლად 496 ტონისა, ჭანჭათის კოლმეურნეობაში მოკრეფილია 420 ტონა. ვალდებულებას 25 ტონით გადაამეტეს.

ზნაურის რაიონი. უხვი მოსავალია წელს სოფელ ავნევის კოლმეურნეობის ვენახებში.

სურათზე: კოლმეურნეობის მოწინავე მევენახე სამსონ ხელიძე ათვალიერებს თავის უბანს.

ფოტო ვ. უბოფენკოსი (საკდესის ფოტოქრონიკა).

მოძმე ჩინელი ხალხის ზეიმი

საბჭოთა ადამიანები ძმურ სალამს უძღვნიან დიდ ჩინელ ხალხს, რომელიც ამ დღეებში თავის ეროვნულ დღესასწაულს — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების 13 წლისთავს აღნიშნავს.

ჩინელი ხალხისადმი გულითადი მეგობრობის გრძნობები გამოოქვეს მოსკოვის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა ხალხმრავალ კრებაზე, რომელიც ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა 28 სექტემბერს. ამ კრებას დაესწრნენ სამრეწველო საწარმოთა მუშა-მოსამსახურეები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოების წევრები. ისინი გულითადად მიესალმნენ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეს ა. ა. ანდრეევს, სხვა საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებს, აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დროებით საქმეთა რწმენებულს სსრ კავშირში ჯან დე-ციუნს, ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაციას ამხანაგ პენ ჩუნის მეთაურობით და სხვა ჩინელ მეგობრებს.

კრება გახსნა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ნ. გ. ეგორიჩევმა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის 13 წლისთავის შესახებ მოხსენება გააკეთა საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ი. პროხოროვმა.

ტრიბუნაზე ადის ამხანაგი ჯან დე-ციუნი. იგი გულითად სალამს უძღვნის საბჭოთა ხალხს, საბჭოთა მთავრობას.

(საკდესი).

საშიში გეგმები

ნიუ-იორკი, 29 სექტემბერი. (საკდესი). როგორც პრესა იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი რასკი ლატინური ამერიკის ზოგიერთი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრთან ერთად განიხილავდა საკითხს, შესაძლებელია თუ არა შეიქმნას „კუბის საწინააღმდეგო სამხედრო კავშირი ცენტრალური ამერიკისა და კარიბის ზღვის რაიონში.

როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ პოსტი" იუწყება, ლათინური ამერიკის ქვეყნების ბევრი დელეგატი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე უარყოფითად ეკიდება ამ იდეას. „მათი აზრით, — წერს „ნიუ-იორკ პოსტი", — შეერთებული შტატებისა და ცენტრალური ამერიკის სახელმწიფოთა ასეთი შეთანხმება სამხრეთამერიკელთა უმრავლესობას მიაჩნია როგორც პოტენციური საფრთხე მათივე საკუთარი ქვეყნებისადმი და როგორც ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წესდების დარღვევა".

გაშვებულია კანადის თანამგზავრი

ნიუ-იორკი, 29 სექტემბერი. (საკდესი). დღეს კანადამ გაუშვა დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრი „ალუეტი". 300 კილოგრამიანი (დაახლოებით 136 კილოგრამამდე) წონის თანამგზავრი პოლარულ ორბიტაზე გაყვანილ იქნა ამერიკის კომბინირებული რაკეტის „ტორ-აგენის" დახმარებით. გაშვების ადგილიც ამერიკის საგაზიაციო ბაზა — ვანდენბერგი (კალიფორნიის შტატი) იყო, კონსულტანტები კი — ამერიკის შეერთებული შტატების აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს თანამმრომლები. კანადის პირველი თანამგზავრის შექმნაში მონაწილეობდა ინგლისიც, რომელმაც მოიწოდა ამარტერა თანამგზავრისათვის.

როგორც ამერიკის საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, „ალუეტმა" წარმატებით განახორციელა პირველი შემოვლა დედამიწის გარშემო. თანამგზავრის ამოცანაა, აღნიშნავს იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტო, „იონოსფეროს ზედა ფენებისა და კოსმოსური ხმაურის გამოკვლევა, რომელიც ალუეტის ტელეკავშირის დიდ მანძილზე".

მთავრობის ჯილდოები მოწინავე მუშაკებს

28 სექტემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში მთავრობის ჯილდოები, აგრეთვე სიგელები საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ გადაეცათ მეცნიერების მოღვაწეებ

ახალი ჩინეთი ზეიმობს

1 ოქტომბერი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების დღეა

ხვალ ჩინეთის ეროვნული დღესასწაულია. ამ დღეს ასრულდა დიდი ჩინეთის მშრომელთა სანუკვარი ოცნება და გამოცხადდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. ამ ღირსშესანიშნავ თარიღს ჩინელ მოძმეებთან ერთად აღფრთოვანებით ზეიმობენ ჩვენი თვალწინდელი ქვეყნის, ყველა სოციალისტური სახელმწიფოს ხალხები.

საბჭოთა ხალხმა კარგად იცის, რომ ჩინეთის სახალხო რევოლუციის გამარჯვება აკეთბრიობის ისტორიის უდიდესი მოვლენაა, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების უკვდავების ტრიუმფია. მან დაამხო საუუმოერივი ექსპლოატატორული წყობილება და იმპერიალისტების ბატონობა, ჩინეთში დამკვიდრა სახალხო დემოკრატიული წყობილება. ამ რევოლუციის ყოველსშემძლეობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი განვითარდა და განმტკიცდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის უშუალო და ღრმა გავლენით. ოქტომბრის რევოლუციამ გაუხსნა გზა აღმოსავლეთის ხალხებს, მთელ კაცობრიობას თავი დაანგწეოს კაპიტალისტურ ექსპლოატაციას და კოლონიურ ჩაგვრას. ჩინეთის რევოლუციის ძალა იმაშია, რომ მას მეთაურობდა წმრომელი ხალხის საკეთილდღეოდ მებრძოლებში გამობრძმედილი კომუნისტური პარტია.

ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ, მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელსაც ამხანაგი მაო ძე-დუნი მეთაურობს, სახალხო დემოკრატიული წყობილების არსებობის 13 წლის განმავლობაში განსაზღვრა ძირეული სოციალურ-დემოკრატიული გარდაქმნები და მტკიცე საფუძველი ჩაუყარა სოციალიზმს. ქვეყნის სამდიდრე გადავიდა ხალხის ხელში, ათობით მილიონი გლეხი და ხელოსანი კოლექტიურ შრომაში ჩაება.

ამჟამად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში წარმატებით ჰქმნიან სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ვითარდება საწარმოო ძალები, რაც ხელს უწყობს ჩინეთის მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ გადაქცევას. „რომელსაც ეკუნება თანამედროვე მრეწველობა, დიდდაგნვითარებული სოფლის მეურნეობა, მოწინავე კულტურა და მეცნიერება. ჯერ კიდევ 1957 წლისათვის რესპუბლიკაში უკვე ამენებული იყო ათი ათასამდე ფაბრიკა-ქარხანა. ჩვენი ქვეყნის უანგარო დახმარებით ჩინეთში აშენდა მრავალი ინდუსტრიული გიგანტი, აშენაინა და უხასის მეტალურგიული კომბინატები, ჩანჩუნის საავტომობილო ქარხანა, ლიიანის სატრაქტორო ქარხანა, ზეხანის მძიმე დაზგების საწარმო, ტაიიუანის საფეიქრო მანქანების ქარხანა. ეს საწარმოები ჩინეთის სიიმაყეს წარმოადგენენ. უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაიზარდა თუჯის, ფოლადის, ქვანახშირის, ელექტროენერგიის წარმოება. ქვანახშირის მოპოვებაში სსრ კავშირის შემდეგ ჩინეთი მსოფლიოში მეორე ადგილზე გამოვიდა. განვითარდა მრეწველობის ახალი დარგები — ზუსტი მანქანათმშენებლობა, მიწყობილობათამშენებლობა, თვითმფრინავმშენებლობა, ქიმიური ინდუსტრია, ტრაქტორებისა და ავტომობილმშენებლობა.

სოციალიზმის მშენებლობაში მუშათა კლასს-მსარში უდგას ჩინეთის გლეხობის 500 მილიონიანი არმია, რომელიც დაუღალავად შრომობს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობაში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. შენდება საირიგაციო ნაგებობანი, ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილის უდაბნო მიწა ნაყოფიერი ხდება. ყამირზე აშრიალდნენ პური ყანები, ბამბის პლანტაციები, წარმატებით მიმდინარეობს ყვავილა და კაუჩუკოვანი მცენარეების გაშენება. იმორჩილებენ იანგზის, ხუანხეს, ხუაიხეს და სხვა მდინარეებს. ისინი მორწყავენ მილიონობით ჰექტარ მიწას და ელექტრონით ბაციენ ათასობით სოფელსა და ქალაქს.

ახლა ჩინეთმა უდიდესი მიღწევები მოიპოვა აგრეთვე კულტურის დარგშიც; დაწყებითის სკოლებში სწავლობს მილიონზე მეტი ბავშვი, საშუალო სკოლებსა და ტექნიკუმებში — 13 მილიონზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი.

საბჭოთა ხალხებს, მათ შორის საქართველოს ხალხს გულწრფელად ახარებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ სოციალიზმის მშენებლობაში მოპოვებული წარმატებანი.

მტკიცე და ურღვევია საბჭოთა და ჩინელი ხალხების, სოციალისტური ქვეყნების ერთა თანამეგობრობა, ინტერნაციონალიზმი, რაც მსოფლიო ისტორიის განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახდა. ეს არის ხალხთა შორის ნამდვილად ძმური ურთიერთობის ნიმუში. საბჭოთა კავშირი, ამბობს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი, ჩინელ ხალხს თვლის როგორც თავის ძმას, მეგობარსა და მოკავშირეს. ჩვენი ხალხების მეგობრობა განმტკიცდა სოციალიზმისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ერთობლივ ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირის ხალხები, ჩვენი დიადი კომუნისტური პარტია მომავალშიც ყველაფერს გააკეთებენ ამ მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისათვის.

ჩინეთის განუყოფელი ნაწილია კუნძული ტაივანი, რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ძალით მიიტაცა და განაგრძობენ მის გამოყენებას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ სამხედრო პროვოკაციებისათვის. იმპერიალისტები უგულებელყოფენ აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უფლებებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობა მოითხოვს მის ამ კანონიერ უფლებათა აღდგენას.

ეროვნული დღესასწაულის ზეიმის დღეს საბჭოთა ხალხი უსურვებს ჩინელ მეგობრებს ახალი წარმატებებს მოპოვებას სოციალისტურ მშენებლობაში, ხალხთა შორის მეგობრობისა და მშვიდობისათვის ბრძოლაში.

უდიდესი რესპუბლიკაში

პეკინი. (საკადესი). სწრაფი ტემპით შენდება ახალი სადრენაჟო-სარწყავი სისტემის მესამე რიგის ობიექტები, რომელიც იქმნება მდინარე ჩუძიანის დელტაში. სანშუის მაზრის მემარცხენეობის რაიონებში უკვე გადაეცა ექსპლოატაციოდ ორი ელექტროქვესადგური და შვიდი სატუმბავი სადგური, დამატებით გაკეთებული 40 კილომეტრი საირიგაციო არხები. ამ ნაგებობათა საშუალებით შეიძლება მოირწყას 4300 ჰექტარი მინდვრები.

მდინარე ჩუძიანის დელტა ჩინეთის ერთ-ერთი უდიდესი ბრინჯის მწარმოებელი რაიონია. მის ნაყოფიერ ვაკეს ადგილებში ყოველწლიურად მოპყავთ ბრინჯის ორი მოსავალი. აქ მოჰყავთ აგრეთვე შაქრის ლერწამი, ანანასი, ბანანი, ფორთოხალი და სხვა სუბტროპიკული და ტროპიკული კულტურები. ჩუძიანის ელექტროფიცირებული სადრენაჟო-სარწყავი სისტემა უდიდესია 15 ასეთი სისტემიდან, რომლებსაც ახლა ქმნიან რესპუბლიკაში.

საგუშაოები სამშენებლოს

ჩინელი ხალხი ზეიმით აღნიშნავს თავის დიად ეროვნულ დღესასწაულს — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების მე-13 წლისთავს. ამ დღეებში ჩინეთის ყველა კუთხიდან დედაქალაქში მოდის სასიხარულო ცნობები, რომ სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა შეასრულეს საწარმოო გეგმები და წარმოების გადიდების დავალებანი, რომ საექსპლოატაციოდ გადაცემულია [illegible] ობიექტები გამარჯვებებს აღწევენ კარგი მოსავლისათვის [illegible].

ზეიმითი წარმატებებით ეგებებიან ჩინეთის [illegible] 1-ს ნოემბერს, ტაიუანელი მაღაროელები (შანხის პროვინციაში [illegible]).



პეკინი — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქი, ტიან ან მინის მოედანი.

ფოტო სინხუა-საკადესისა.

2080-0

პარტიული ცხოვრება

პოლიტიკური განათლება

თანამედროვე ამოცანების დონეზე

მ. გოგიჩაიშვილი,
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე.

პარტიის XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებმა პარტიული ორგანიზაციების ორგანიზმტორული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ახალი აღმავლობა გამოიწვიეს. კომუნისტური იდეოლოგიის პროპაგანდას უფრო ცოცხალი და მრავალფეროვანი ხასიათი მიეცა, ამაღლდა მისი ქმედითობა, მორგანიზებელი და მამობრიგებელი როლი. კომუნისტური მსოფლმხედველობის შეთვისება, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების დაუფლება, პარტიის პოლიტიკის ღრმად გაგება საარსებო მოთხოვნილება გახდა თვითეული საბჭოთა ადამიანისათვის.

კომუნისტთა მარქსისტულ-ლენინური გამოწრთობის, მაღალი კომუნისტური შეგნების სულისკვეთებით მასების აღზრდის უმნიშვნელოვანესი ფორმაა პოლიტიკური განათლების ქსელი. პირველ ოქტომბერს ქალაქებში და 15 ოქტომბერს სასოფლო რაიონებში იწყება ახალი 1962-1963 სასწავლო წელის პოლიტიკური განათლების ქსელში.

ამ დღეებში რესპუბლიკის პარტიულ-საბჭოთა ორგანიზაციებმა ძირითადად დამთავრეს ახალი სასწავლო წლისათვის მზადება, რომელიც მიმდინარეობდა გასული წლის შედეგების გათვალისწინებით.

რას მოწმობს ეს შედეგები?

გასულ სასწავლო წელს პოლიტიკური განათლების ყველა რგოლისა და ფორმის მუშაობის ძირითად შინაარსს შეადგენდა სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მასალების შესწავლა. ყრილობის მასალების შესწავლა დაეხმარა კომუნისტებსა და უპარტიოებს იმაში, რომ კიდევ უფრო ნათლად გააზრონ კომუნისტური მშენებლობის ამოცანების ისიდიდე და კანონზომიერებანი, ხელი შეუწყონ მათი კომუნისტური შეგნების, პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ზრდას.

მნიშვნელოვნად ვაფართოვდა პარტიული პროპაგანდის გაგლენის სფერო. იგი უფრო გასაგები და მასობრივი გახდა მშრომელთა ფართო ფენებისთვის. გასულ სასწავლო წელს პოლიტიკური განათლების ქსელში მეცადინეობდა 313 ათასზე მეტი კაცი — 32 ათასით მეტი, ვიდრე წინა სასწავლო წელს. წრეებში, სკოლებსა და სემინარებში 119 ათასი კომკავშირელი და უპარტიო მეცადინეობდა, რაც იმას ნიშნავს, რომ პარტიული განათლება მშრომელთა მასობრივი პოლიტიკური განათლება გახდა.

გასული სასწავლო წლის ერთ-ერთი დადებითი შედეგი ის იყო, რომ შემდგომ განვითარდა პოლიტიკური სწავლების დამოუკიდებელი ფორმები. თეორიულ სემინარებში და ინდივიდუალური გეგმებით მარქსისტულ-ლენინურ თეორიას ეუფლებოდა 131 ათასი კაცი. მარქსიზმ-ლენინიზმის დამოუკიდებლად შემსწავლელთა დასახმარებლად წაკითხულ იქნა 12 ათასზე მეტი ლექცია, უმთავრესად XXII ყრილობისა და პარტიის პროგრამით აღძრულ პრობლემებზე.

ყრილობის მასალების შესწავლისას დიდი ყურადღება ექცეოდა კომუნიზმის მშენებლობის ეკონომიურ პრობლემებს, კონკრეტული ეკონომიკის საკითხებს. გასულ სასწავლო წელს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ეკონომიკური ეკონომიკის საფუძვლების შემსწავლელი დაწყებითი სკოლები, და წრეები, რომელნიც 32 ათასზე მეტი რიგითი მუშა და კოლმეურნე სწავლობდა. ეკონომიური სწავლების ასეთი ფორმა დიდი პოპულარობით სარგებლობს მშრომელებში, აძლიერებს მათს წარმოებითს აქტივობას, უნერგავს მისწრაფებასა და ინტერესს ეკონომიური თეორიისა და საერთოდ პოლიტიკური ცოდნისადმი.

ფართოდ იყო გამოყენებული სწავლების ისეთი ქმედითი ფორმები, როგორიც არის თეორიული და ეკონომიური კონფერენციები. გასულ სასწავლო წელს რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა 3.500 თეორიული და ეკონომიური კონფერენცია მოაწყეს კომუნისტური მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის აქტუალურ საკითხებზე.

პარტიული ორგანიზაციები ახლა უკეთ რეფლისწინებენ ახალგაზრდობაში, ინტელიგენციაში, ქალთა შორის პროპაგანდის სპეციფიკას. სისტემატიურად ეწყობა ლექციები, თემატური და კითხვა-პასუხის საღამოები, ინტერნაციონალური შეხვედრები, ზეპირი ჟურნალები მშრომელთა სხვადასხვა ჯგუფებისათვის მათი პროფესიული, ასაკობრივი, ეროვნული და სხვა თავისებურებების გათვალისწინებით. რესპუბლიკის ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში მშრომელთა პოლიტიკური განათლებისათვის ფართოდ იყენებენ პროპაგანდის ისეთ მასობრივ და პოპულარულ ფორმებს, როგორიც არის კინოლექტორიუმები, კულტურისა და მშრომელთა სახალხო უნივერსიტეტები, მოწინავე გამოცდილების სკოლები და სემინარები.

პარტიული ორგანიზაციები ახლა მეტ ყურადღებას აქცევენ პროპაგანდისტებთან მუშაობას. გასულ სასწავლო წელს პოლიტსკოლების, წრეებისა და სემინარების ხელმძღვანელად მუშაობდა 18 ათასზე მეტი კაცი, მათგან 5 ათასი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკი, 10 ათასი სახალხო მეურნეობის სპეციალისტი, მეცნიერი მუშაკი და მასწავლებელი.

პარტიულმა კომიტეტებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს პროპაგანდისტთა რეზერვის მოსამზადებლად. გასულ სასწავლო წელს საქალაქო ერთწლიან კურსებსა და სოფლის პროპაგანდისტთა დაუსწრებელ კურსებზე, აგრეთვე მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტებში მომზადებულ იქნა 4 ათასამდე ახალი პროპაგანდისტი. გარდა ამისა, პარტიული კომიტეტების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების შტატის ბევრმა მუშაკმა გაიარა გადამზადება სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ სახოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიასა და უმაღლეს პარტიულ სკოლასთან არსებულ კურსებზე.

მაგრამ გასული წლის შედეგები ამასთან ერთად ცხადყოფს, რომ რესპუბლიკის ზოგიერთი პარტიული კომიტეტი და პირველადი ორგანიზაციები სუსტად ხელმძღვანელობს პოლიტიკურ განათლებას. იდეოლოგიური მუშაობისადმი, ხელმძღვანელობაში პარტიის კუთბიშევისა და ბინკის საოლქო კომიტეტების მხრივ დაშვებული სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაკლინა, ბევრ მხრივ ეხება საქართველოს პარტიულ ორგანიზაციასაც.

გასულ სასწავლო წელს ზოგიერთ წრესა და სემინარი მეცადინეობა დაბალ იდეურ-თეორიულ დონეზე წარმოებდა, საკითხებს იქ განიხილავდნენ შეზღუდულად, პრიმიტიულად, საკრო თეორიულ განზოგადებათა და დასკვნათა გაუკეთებლად. ცალკეული პროპაგანდისტები გვერდს უვლიდნენ მწვავე საკითხებს, ყრილობის მიერ წამოყენებულ თეორიულ დებულებებს ყოველთვის არ უკავშირებდნენ საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივების კონკრეტულ ამოცანებს. ამის შედეგად პოლიტიკური განათლება მთელ რიგ ადგილებში ნაკლებქმედითი იყო, იგი ცუდად იყო გამოყენებული წარმოების შინაგანი რეზერვების გამოსანახავად, ჯეროვან გავლენას ვერ ახდენდა ადამიანთა აღზრდაზე.

ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი კვლავ განზე დგას იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობისაგან, არ აძლევს სხვებს მარქსიზმ-ლენინიზმს საფუძვლიანად დაუფლების მაგალითს. ისინი ჯეროვნად არ აფასებენ სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტაში იდეოლოგიური მუშაობის უდიდეს როლს. ასეთი მუშაკები ხშირად ეფარებიან რაიონის, საწარმოს, კოლმეურნეობის სამეურნეო საქმიანობის მეტად თუ ნაკლებად დამაკმაყოფილებელ მაჩვენებლებს და მიდრეკილებას იჩენენ მოიხსნან პასუხისმგებლობა მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის.

მთელი რიგი პარტიული კომიტეტები და პირველადი ორგანიზაციები სუსტად მუშაობენ პროპაგანდისტთა კადრების შერჩევისა და აღზრდისათვის. მშრომელთა პოლიტიკურ განათლებას ზოგჯერ ანდობენ სუსტად მომზადებულ, უავტორიტეტო ადამიანებს. ცალკეული პარტიული ორგანიზაციები ცუდად აწყობენ თეორიულ და მეთოდურ დახმარებას პროპაგანდისტებისადმი. მათთვის მეთოდური დახმარების ნამდვილი ცენტრი ვერ გახდა პოლიტიკური განათლების ბევრი სახლი და კაბინეტი. ზოგჯერ კიდევ გაუბედავად იყენებენ საუკეთესო პროპაგანდისტთა მორალური წახალისების მრავალფეროვან ფორმებს, სუსტად უწევენ პოპულარიზაციას მათს გამოცდილებას.

პარტიულ ორგანიზაციებს ახლა განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები აქვთ პოლიტიკური განათლების იდეურ-თეორიული დონის შემდგომი ამაღლებისათვის, გამოცემულია ახალი პროგრამები პოლიტიკური განათლების ყველა ფორმისათვის. სასწავლო წლის მიმდინარეობაზე პოლიტიკური განათლების ქსელის მსმენელები ბევრ სახელმძღვანელოს მიიღებენ შეგნებული და შესაფერებული გამოცემით.

საჭიროა გამოვიყენოთ ხელსაყრელი ობიექტური პირობები, განვამტკიცოთ შეძენილი დადებითი გამოცდილება, გავითვალისწინოთ წარსულში დაშვებული ნაკლოვანებები და ორგანიზებულად, მაღალ იდეურ-თეორიულ დონეზე დავიწყოთ ახალი სასწავლო წელი პოლიტიკური განათლების ქსელში.

როგორია ახალი სასწავლო წლის მთავარი ამოცანები? რას უნდა მიაქციონ პარტიულმა ორგანიზაციებმა ყურადღება?

საჭიროა კვლავაც გავაფართოოთ პოლიტიკური განათლების ჩარჩოები, ავამაღლოთ მისი ქმედითობა. კომუნისტთა და უპარტიოთა ყურადღება უნდა მიეაქციოთ პარტიის ისტორიის, ფილოსოფიისა და პოლიტეკონომიის შესწავლას, რომლებიც კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების საფუძველს შეადგენენ. ამასთან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ახალ სასწავლო დემოკრატიული წყობილების არსებობის 13 წლის განმავლობაში განსაზღვრა ძირეული სოციალურ-დემოკრატიული გარდაქმნები და მტკიცე საფუძველი ჩაუყარა სოციალიზმს. ქვეყნის სამდიდრე გადავიდა ხალხის ხელში, ათობით მილიონი გლეხი და ხელოსანი კოლექტიურ შრომაში ჩაება.

ამჟამად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში წარმატებით ჰქმნიან სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ვითარდება საწარმოო ძალები, რაც ხელს უწყობს ჩინეთის მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ გადაქცევას, „რომელსაც ეკუნება თანამედროვე მრეწველობა, დიდდაგნვითარებული სოფლის მეურნეობა, მოწინავე კულტურა და მეცნიერება. ჯერ კიდევ 1957 წლისათვის რესპუბლიკაში უკვე ამენებული იყო ათი ათასამდე ფაბრიკა-ქარხანა. ჩვენი ქვეყნის უანგარო დახმარებით ჩინეთში აშენდა მრავალი ინდუსტრიული გიგანტი, აშენაინა და უხასის მეტალურგიული კომბინატები, ჩანჩუნის საავტომობილო ქარხანა, ლიიანის სატრაქტორო ქარხანა, ზეხანის მძიმე დაზგების საწარმო, ტაიიუანის საფეიქრო მანქანების ქარხანა. ეს საწარმოები ჩინეთის სიიმაყეს წარმოადგენენ. უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაიზარდა თუჯის, ფოლადის, ქვანახშირის, ელექტროენერგიის წარმოება. ქვანახშირის მოპოვებაში სსრ კავშირის შემდეგ ჩინეთი მსოფლიოში მეორე ადგილზე გამოვიდა. განვითარდა მრეწველობის ახალი დარგები — ზუსტი

თესლი მთესველს ეუგნეგა...

მეცნიერის რჩევა

ახალი მოსავალი რომ მივიღოთ, უნდა გვქონდეს მაღალი თესვითი ღირსების მქონე კარგი თესლი. ჯიშს უნდა ახასიათებდეს, სისუფთავე, ადმოცენების დიდი უნარი და სითანმპარე. იგი უნდა აკმაყოფილებდეს სათესი სტანდარტის პირველი კლასის და ჯიშური სიწმინდით პირველი კატეგორიის მოთხოვნებს.

თესლი უნდა ავიღოთ აუცილებლად ისეთი ნაკვეთიდან, სადაც გამოყენებული იყო ყველაზე მაღალი აგროტექნიკა, რაც დიდ გავლენას ახდენს თესლის ხარისხზე. დიდ გავლენას ახდენს აგრეთვე ის, თუ რა პირობებში მოხდა მისი მოყვანა. მაგალითად, თესლის ხარისხზე მოქმედებს ნიადაგის დამუშავების ყველა აგროწესი. დაბალი აგროტექნიკა აუარესებს არა მარტო თესლს, ჯიშის მოსავალს, არამედ ესა თუ ის ჯიში კარგავს მთელ რიგ სასარგებლო სამეურნეო და ბიოლოგიურ თვისებებს.

საქართველოში დარაიონებული ხორბლისა და სხვა კულტურების ჯიშებს შეუძლიათ შესაბამისი აგროტექნიკური პირობების შემთხვევაში აგროტექნიკური ღონისძიებების ეფექტიანობა. ამაზე მეტყველებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების სახელმწიფო ჯიშთა გამოცდის სადგურის მონაცემები. მაგალითად, წითელწყაროს ჯიშთა გამოცდის პუნქტში ხორბლის ჯიშმა „მოწინავე-ვემ“ მრავალი წლის გამოცდის შედეგად საშუალოდ მოგვცა 35,7 ცენტნერი ჰექტარზე. ასეთივე მოსავალია მიღებული ჯიშ „უფფო-1“-ით. ლაგოდეხის ჯიშთა გამოცდის პუნქტში ჯიშ „გრძელფთვთვავა“ მრავალი წლის საშუალო მოსავლიანობა 20,5 ცენტნერია ჰექტარზე, ხოლო ახალციხის ჯიშთა გამოცდის პუნქტში ჯიშ „ახალციხის წითელი ღოლის“ 18 წლის საშუალო მოსავლიანობა 25,9 ცენტნერია.

ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ ხორბლის ქართული ჯიშები მოსავლის მაღალი პოტენციით ხასიათდებიან. ასეთი მოსავლის მოცემა შეუძლიათ შესაბამისი აგროტექნიკის გატარებით და კიდევ მაშინ, თუ დათესილია ისეთი თესლი, რომელიც მიღებულია მაღალმოსავლიანი ნაკვეთიდან.

სათესლე ნაკვეთზე აგროტექნიკის პირდაპირი გავლენა სათესლე მასალის ღირსებაზე და შემდგომი თაობების მოსავლიანობაზე იმდენად დიდია, რომ იწვევს აუცილებლობას განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ სათესლე ნაკვეთებს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. უნდა ვეცადოთ ამ ნაკვეთზე მივიღოთ უველაზე მაღალი და ავრეთვე სარეკოდო მოსავალი.

ამიტომ საჭიროა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სათესლე ნაკვეთებად გამოიყოს უველაზე კარგი მიწები, უფრო მეტად მაღალპროდუქტიული ნიადაგზე. სათესლე ნაკვეთები არ უნდა იყოს „მერეული, ე. ი. არ უნდა ვთესავდეთ სხვადასხვა ნაკვეთზე. სათესლე ნაკვეთი უნდა მიემაგროს მემანდვრეობის ბრიგადას, სასურველია, რომ ბრიგადას ხელმძღვანელობდეს ამ საქმის კარგი მცოდნე მეთესლე აგრონომი. სათესლე ნაკვეთზე თესვა საჭიროა საუკეთესო წინამორბედი კულტურის შემდეგ. ხორბლისათვის საუკეთესო წინამორბედია: ბარდა, ლობიო და სამარცვლა პარკოსნები. შაქრის ჭარხალი, სიმინდი მწკვნე ნაკვეთად. და ბეღნა სასალოსად ასალები სიმინდი იმ ანგარიშით, რომ ნაკვეთი ხორბლისათვის განთავისუფლდეს სეკეტემბრის დასაწყისისათვის. შრომა და უფროვ რაიონებში თესვა შეიძლება ჩატარდეს შავ ანეულზე.

ამისათვის, რომ არ მოხდეს წინამორბედი კულტურით დასარევლიანება, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ხორბალი დავთესოთ სხვა თავთავიანი კულტურების შემდეგ (ქერი, ან ჭვავი), აგრეთვე არ შეიძლება ხორბლის ერთი ჯიში დავთესოთ მეორე ჯიშის შემდეგ. მავნებლების განვითარებას თავი რომ დავაღწიოთ, ერთი ჯიში ერთსა და იმავე ნაკვეთზე არ უნდა ვთესოთ ორი წლის განმავლობაში.

სათესლე ნაკვეთი უნდა დამუშავდეს და მომზადდეს საუკეთესოდ. ხვნა უნდა ჩატარდეს აგროვადებში და ხარისხოვნად.

თესვა ტარდება ოპტიმალურად შემეწიდროებულ ვადაში. სათესლე მასალა ჯიშობრივი სიწმინდით პირველი კატეგორიისა და სათესლე სტანდარტის მიხედვით პირველი კლასისა უნდა იყოს. ყურადღება უნდა მივაქციოთ სათეს მანქანას. თესვის წინ სათესი უნდა იყოს გაწმენდილი და დეზინფიცირებული. უნდა დავთესოთ შედარებით მსხვილი, და მძიმე აბსოლუტური წონის თესლი.

თუ როგორი მნიშვნელობა ჰქვს თესლის სიმსხოს, ჩანს ა. აფანასიევის მონაცემებიდან, რომელსაც საქართველოს პირობებისათვის დადგენილი ჰქვს, რომ შედარებით მსხვილი ფრაქციის თესლით თესვა იწვევს რესპუბლიკაში დარაიონებულ მეტწილ ჯიშებში მოსავლიანობის გაზრდას საშუალოდ 5 ცენტნერით.

თესლი აუცილებლად უნდა შეიწამლოს, უმჯობესია ვერცხლისწყლიანი ორგანული პრეპარატებით — გრანაზონით, ნერმაზანით ან აგრონალმით, რომელიც ანა მარტო სპობენ დაავადების გამომწვევს, არამედ სტიმულსაც აძლევენ ხორბლის თესლის აღმოცენებას.

თუ საჭირო არ არის დეფიციტური ჯიშების მალე გამრავლება, სათესლე ნაკვეთებზე ვიყენებთ თესვის სრულ ნორმას, თუ სასწრაფოდ გამრავლებაა საჭირო, მიზანშეწონილია თესვა ჩატარდეს ფართო მწკრივებად თესვის შემცირებული ნორმით. ახეთი ნათესი აუცილებლად მოითხოვს მწკრივთა შორისების გაფხვიერებას.

სათესლე ნაკვეთებზე სასურველია გაზაფხულზე ჯიჯილის დაფარცხვა. გამოკვებას უმთავრესად აღრე გაზაფხულზე აწარმოებენ. სათესლე ნათესები, როგორც წესი, კარგად უნდა გავნოყიერთოთ. სასუქების სახეები, ღონეები, მათი შემადგენლობა, ვადა და ნორმები უნდა გამიმდინარეობდეს ცალკეული რაიონის ნიადაგურ-ბუნებრივი პირობებიდან. კარგ შედეგებს მივიღებთ მაშინ, როცა ერთად შეგვაქვს ორგანული და მინერალური სასუქები. სათესლე ნათესებში უნდა შევიტანოთ მხოლოდ კარგად გადამწყვარი ნაკელი.

სარეველებთან სიბრძოლველად გარდა ჩვეულებრივი გაწმენდისა, გამოყენებულია სახეობრივი და ჯიშობრივი მარგვლა. სარეველებისაგან მარგვლა შეიძლება ჩატარდეს როგორც ხელით, ისე მერბიციდებით.

ჯიშობრივი მარგვლის დროს ვაცლით სხვა ჯიშის მინარევებს. ჯიშობრივი და სახეობრივი მარგვლის ჩასატარებლად ეტოვებთ ვიწრო გზებს... ხორბლის ჯიშობრივი მარგვლის დროს ავრეთვე ვაცლით მტვრიანა გუდაფუტფტი დაავადებულ მცენარეებს. ეს ოპერაცია ჩატარდება საჰაროების მიხედვით ხორბლის ყვავილობის დაწყებამდე.

სათესლედ განკუთვნილი ყანის აღება უნდა ჩატარდეს კარგად გაწმენდილ ან წინასწარ დეზინფიცირებული მანქანებით. ხორბლის მოსავალი აღებულ უნდა იქნას სრული სიმწიფის ფაზაში. აღება უმჯობესია გაყოფის წესით.

გვახსოვდეს, სათესლე ნაკვეთებზე მხოლოდ მაღალი აგროტექნიკის გამოყენებით შეგვიძლია ავამაღლოთ მეთესლეობის საქმე და მოვიყვანოთ დიდი მოსავალი.

პროფ. ლ. დეკაპრელევიჩი,
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სელექციო-მეთესლეობის კათედრის გამგე.

მეგობროების საღამო

ამ დღეებში ქ. ცხინვალში თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლთან არსებული ლიტერატურული წრის ინიციატივით გაიმართა ქართველი ხალხისა და ოსი ხალხის მეგობრობისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო.

საღამო „გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილების გამგემ პოეტმა გიორგი ზამბა.

მოხსენება თემაზე — „ქართველი ხალხისა და ოსი ხალხის მეგობრობა და ლიტერატურული ურთიერთობა“ გააკეთა ი. ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლის ლიტერატურული წრის ხელმძღვანელმა ი. პავლიაშვილმა.

საკუთარი ლექსები და ოს მწერალთა ქართული თარგმანები წაიკითხეს ლიტერატურული წრის წევრებმა: მ. კერესელიძემ, უ. სამხარაძემ, მ. გაბრიჩიძემ, შ. კომუნაძემ, დ. ნოზაძემ, ნ. მესხიშვილმა, ხ. კაპარაშვილმა, ი. კვკაბავამ, ვ. ნარიკაშვილმა, ბ. ბერიაშვილმა, მ. ნაკუდაშვილმა, გ. შეთეკაურმა.

საღამოზე მონაწილეობა მიიღეს ქართველმა პოეტებმა ჯანსულ ნიქაბაძემ და ნოდარ თარხნიშვილმა, ოსმა პოეტებმა ხ. ძუცონმა, რ. თედეევმა, ხ. ალბოროევმა.

დასასრულ გაიმართა კონცერტი.

გ. ფეთეკაური.



კომუნისტი

№ 2 ფასი 1 კაპიკი.

30 სექტემბერი, 1962 წ.

გმირობა ზღვაზე

იმიერპოლარეთის განედზე თუ კამჩატკა ბზის ქვეშ, შავ ზღვაზე, ბალტიის წყლებსა და თვალუწვდენი წყნარი ოკეანის სივრცეებში, წლის ყოველ დროსა და პირობებში განუწყვეტლივ დასრულებენ საბჭოთა საბრძოლო ხომალდები. საბჭოთა სამხედრო მეზღვაურებს — სამშობლოს ერთგულ გუშაგებს შორის არის ჩვენი რესპუბლიკის ღირსეული შვილი ალექსანდრე ვეორგის-ძე კანანაძე.

ალექსანდრე საბჭოთა ხალხსა და სამამულო ომის მძიმე ოთხ მძვინვარე დღეებში გაიცნო. 1944 წლის თექვსმეტ მაისს მას საბჭოთა კავშირის გმირის ოქროსა მიენიჭა. მას შემდეგ თვრამეტი წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ალექსანდრე კანანაძე დავაჟკაცდა. უფროსი ლეიტენანტობიდან პირველი რანგის კაპიტანი გახდა.

ამას წინათ მის შესახებ ქება ეწერა სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტროულურ გაზეთში. ფლოტის სარდალი სტატიაში ამაყოფილებთან აღნიშნავდა ა. კანანაძის ნაწილის პირადი შემადგენლობის მიღწევებს საბრძოლო და პოლიტიკურ სწავლებაში.

გაფაფუყვიტე პირადად დაკავშირებოდი პირველი რანგის კაპიტანს. წერილზე გულთბილად მიპასუხა. მაცნობა, რომ სამხედრო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება საზღვაო ფლოტში უხდება. მასთან ერთად მეუღლე ვალენტინა ვასილის ასული და ორი ვაჟიშვილი იური და სერიოჟა. მათ მოუთმენლად ელიან თბილისში — ალექსანდრეს დედა, ხოლო მახარაძეში, თელავში, ფეშეთში, პიატიგორსკში ახლო ნათესავები.

ბევრი რამ დაიწერა

გენიარალება —აი რა არის მთავარი



ნიუ-იორკი, 28 სექტემბერი. (საკდესი). გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომებზე გრძელდება საერთო პოლიტიკური დისკუსია.

სხვადასხვა კონტინენტის დელეგატთა პირველივე გამოსვლები უეჭველს ხდიან, რომ XVII სესიის მთავარი თემა იქნება განიარაღება, კოლონიალიზმის ნაშთების ლიკვიდაცია, საერთაშორისო ეკონომიური გაცვლის ნორმალიზაცია. ამას მოწმობს აგრეთვე გენერალური ასამბლეის დღევანდელი დილის პლენარული სხდომა, რომელზეც გამოვიდნენ სუდანის, პოლონეთის, ალბანეთისა და იტალიის დელეგატები.

ნიუ-იორკი, 29 სექტემბერი. საკდესის კორესპონდენტი **ვ. ბოგანოვი** იუწყება: გუშინ გენერალური ასამბლეის დღის სხდომაზე გრძელდებოდა საერთო დისკუსია. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა შაგდასურენმა, რომელიც პირველი გამოვიდა, განაცხადა, რომ მისი მთავრობა საგარეო პოლიტიკის საფუძვლად უდევს მშვიდობიან თანაარსებობის პრინციპი, მონღოლი ხალხის მისწრაფება დაიცვას და განამტკიცოს მშვიდობა მთელ მსოფლიოში. შაგდასურენი შეეხო მოლაპარაკებას განიარაღების შესახებ და სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ 18 ქვეყნის კომიტეტის მუშაობას ენენევაში დღემდე არ მოჰყოლია საგრძნობი შედეგები.

შაგდასურენმა გამოთქვა რწმენა, რომ საბჭოთა კავშირის წინადადებას განიარაღების ეკონომიური პროგრამის შესახებ გულდასმით განიხილავენ მომდინარე სესიაზე და გენერალური ასამბლეა მიიღებს დეკლარაციას განიარაღების შედეგად განთავისუფლებული სახსრებისა და რესურსების მშვიდობიანი გამოყენების შესახებ.

შემდეგ შაგდასურენმა აღნიშნა, რომ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XVII სესია

პუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა შაგდასურენმა, რომელიც პირველი გამოვიდა, განაცხადა, რომ მისი მთავრობის საგარეო პოლიტიკის საფუძვლად უდევს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი, მონღოლი ხალხის მისწრაფება დაიცვას და განამტკიცოს მშვიდობა მთელ მსოფლიოში. შაგდასურენი შეეხო მოლაპარაკებას განიარაღების შესახებ და სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ 18 ქვეყნის კომიტეტის მუშაობას ენენევაში დღემდე არ მოჰყოლია საგრძნობი შედეგები.

შაგდასურენმა გამოთქვა რწმენა, რომ საბჭოთა კავშირის წინადადებას განიარაღების ეკონომიური პროგრამის შესახებ გულდასმით განიხილავენ მომდინარე სესიაზე და გენერალური ასამბლეა მიიღებს დეკლარაციას განიარაღების შედეგად განთავისუფლებული სახსრებისა და რესურსების მშვიდობიანი გამოყენების შესახებ.

შემდეგ შაგდასურენმა აღნიშნა, რომ

სამხრეთ კორეის გადაქცევა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზად და ამერიკის შეერთებული შტატების განუწყვეტელი ინტერვენცია სამხრეთ ვიეტნამში დაძაბულობას ძალიერ სერიოზულ ალმოსავლეთში. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ იაპონიის სამხედრო პოტენციალის აღდგენა და ამ ქვეყნის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების მშენებლობა ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის შეშფოთებას იწვევს.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ მისი მთავრობა მხურვალედ უჭერს მხარს წინადადებას ზორეულ აღმოსავლეთსა და წყნარი ოკეანის რაიონში უატომო ზონების შექმნის შესახებ.

კოლუმბიის საგარეო საქმეთა მინისტრმა მონტალვომ თავისი გამოსვლა ძირითადად მიუძღვნა თავდასხმას მატერიალზმზე, ღმერთის, ამერიკის დელეგატის სტევენსონისა და „თავისუფალი მეწარმეობის“ ქება-დიდებას.

ლაოსის საგარეო საქმეთა მინისტრმა კინმ ფოლსენამ განაცხადა, რომ მისი ქვეყნის მცხოვრებები დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ შეთანხმებას დამოუკიდებელი, ერთიანი და ნეიტრალური ლაოსის შესახებ. მან აღნიშნა, რომ ქვეყნის საერთაშორისო ცხოვრებაში ლაოსის უფლებას, — უარი თქვას იმაზე, რომ „იცავდნენ“ სამხედრო ბლოკები, მათ შორის სეატო. ლაოსის საგარეო საქმეთა მინისტრმა თქვა, რომ მისი მთავრობა მზად არის მიიღოს ყოველი ღონისძიება მეზობელი კამბოჯის ნეიტრალიტეტისა და ტერიტორიული ხელშეუხებლობის უზრუნველსაყოფად.

ბოლივიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხოსე ფელმან ველარდემ, რომელიც დღის სხდომის ბოლოს გამოვიდა, ილაპარაკა მსხვილ მონოპოლიათა საკუთრების ნაციონალიზაციისა და მიწის რეფორმის შესახებ, რაც მის ქვეყანაში განხორციელდა.

თავისი გამოსვლის ნაწილი მან მიუძღვნა ბოლივიისა და ჩილის კონფლიქტს საზღვარ ნავსადგურების გამოყენების გამო.

ამით დამთავრდა გენერალური ასამბლეის დღის სხდომა.

გულგარეთის საზღვრებთან

სოფია, 28 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთი „ზემედელსკო ზნამე“ ეკმობს სამხედრო მანევრებს „ფოლექსს“, რომლებიც ახლა მიმდინარეობს საბერძნეთის ტერიტორიაზე და რომლებშიც მონაწილეობენ საბერძნეთის, თურქეთისა და ინგლისის სახმელეთო, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალები, აგრეთვე ამერიკის მე-6 ფლოტის ნაწილები.

გაზეთი კერძოდ წერს: ჩრდილოეთიდან ორავენ არ ემუქრება საბერძნეთს. პირიქით ჩრდილოეთიდან მიმართავენ მოწოდებით გადაეკეთონ ბალკანეთი მშვიდობისა და თანამშრომლობის ზონად, ხოლო სამხრეთში ყურად არ იღებენ ამ მოწოდებებს და ცდიან თავიანთ „თავდაცვის“ შესაძლებლობებს.

ზედეგრავი გვატყობინებს

☐ **კაირო, 28 სექტემბერი.** (საკდესი). დღეს პრეს-კონფერენციაზე არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სახელმწიფო მინისტრმა დოქტორმა ამდელ კადერ მათემმა წაიკითხა საკონსტიტუციო დეკლარაციისა და საბრეზიდენტო სიბჭოს შექმნის დეკრეტის ტექსტები, რომლებსაც პრეზიდენტმა ნასერმა გუშინ მოაწერა ხელი.

საკონსტიტუციო დეკლარაციაში მოცემულია რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ზოგადი დახასიათება. იქ, კერძოდ, ნათქვამია, რომ რესპუბლიკის პრეზიდენტი სათავეში უდგას საპრეზიდენტო საბჭოს, ეროვნული თავდაცვის საბჭოს და არის არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი.

☐ **დასავლეთი ბერლინი,** 28 სექტემბერი. (საკდესი). დასავლეთ ბერლინში აქციების კურსი კვლავ მერყეობს. როგორც პრესა იუწყება, ამ უკანასკნელ დღეებში დასავლეთ ბერლინის ბირუაზე დასახული „ერთგვარი სტაბილიზაცია“ გუშინ კვლავ დაირღვა — მნიშვნელოვნად დაეცა აქციების კურსი ეკონომიკის ყველა წამყვან დარგში.

ალჟირის ახალი გზა

პარიზი, 29 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ალჟირიდან იუწყება, ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ბენ ბელამ ეროვნულ დამფუძნებელ კრებას წარუდგინა მთავრობის პროგრამა.

ბენ ბელამ განაცხადა, რომ მისი მთავრობა განაახორციელებს ნეიტრალიტეტისა და ბლოკებთან მიუმხრობლობის პოლიტიკას.

პრემიერ-მინისტრი შეეხო მომავალ ურთიერთობას საფრანგეთთან და აღნიშნა, რომ მისი მთავრობა პატივს სცემს ევიანის შეთანხმებებს. „ჩვენ, — განაცხადა მან, — უნდა გამოვნახოთ საფრანგეთთან თანამშრომლობის ისეთი ფორმულა, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენს ურთიერთობას, როგორც თანასწორთა ურთიერთობას“.

ბენ ბელამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ალჟირი არაბული მაღრიბის განუყოფელი ნაწილია. შემდეგ მან თქვა, რომ „ალჟირს განზრახული აქვს მონაწილეობა მიიღოს იმ საქმეში, რომ შეიქმნას ფერეიკის კავშირი და ერთობა ფართო პოლიტიკურ და ეკონომიურ დაჯგუფებათა ფარგლებში“.

შემდეგ ბენ ბელა შეეხო საშინაო პოლიტიკას და აღნიშნა, რომ მთავრობა უწინარეს ყოვლისა შეუდგება აგრარული რეფორმის განხორციელებას, რომელიც „განსაზღვრავს მთავრობის მთელ საშინაო პოლიტიკას“. მან ხაზი გაუსვა, რომ მთავრობა აპირებს „მიიღოს სპეციალური ღონისძიებანი“ წვრილ გლეხთათვის დახმარების გაწევის მიზნით. პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ მისი მთავრობა აქტიურად იბრძოლებს უმუშევრობის წინააღმდეგ და განახორციელებს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკას.

შემდეგ ბენ ბელამ განაცხადა: „ეროვნული სახალხო არმიის რეორგანიზაცია საშუალებას მისცემს ყველა იმათ, ვინც დატოვებს არმიის რიგებს, მონაწილეობა მიიღონ ჩვენი ქვეყნის ადმინისტრაციულ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ალჟირის დემოკრატიული სახალხო რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობა

აჰმედ ბენ ბელა.

ალჟირი, 29 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ალჟირის დემოკრატიული სახალხო რესპუბლიკის ეროვნულმა დამფუძნებელმა კრებამ ხმის დიდი უმრავლესობით დაამტკიცა მთავრობის შემადგენლობა: მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე—აჰმედ ბენ ბელა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე — რაბაჰ ბიტატი, იუსტიციის მინისტრი ამარ ბენტმი, შინაგან საქმეთა მინისტრი — აჰმედ მედეჰი, ეროვნული თავდაცვის მინისტრი — პოლკოვნიკი ჰუარი ბუმედიენი, საგარეო საქმეთა მინისტრი — მოჰამედ კემისტი, ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი — აჰმედ ფრანსისი, სოფლის მეურნეობისა და აგრარული რეფორმის მინისტრი — ამარ უზგანე, ვაჭრობის მინისტრი — მოჰამედ ჯობზი, მრეწველობისა და ენერგეტიკის მინისტრი — ლარესი ჰელიფა, რეკონსტრუქციის, საზოგადოებრივ სამუშაოთა და ტრანსპორტის მინისტრი — აჰმედ ბუმეჯელი, შრომისა და სოციალურ საქმეთა მინისტრი — ბაშირ ბუმაზა, ეროვნული განათლების მინისტრი — აბდერაჰმან ბენ ჰამი, ახალგაზრდობისა და სპორტის საქმეთა მინისტრი — აბდელ აზიზ ბუტეფლიკა, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი — მოჰამედ ზეჰირ ნეკაში, ფოსტისა და ტელეგრაფის მინისტრი — მუსა ჰასანი, ომის ეტეერანთა და მსხვერპლთა საქმეების მინისტრი — მოჰამედ საიდი, ჯაკუფების (რელიგიური ქონების) საქმეთა მინისტრი — აჰმედ ტუფიკ მადანი, ინფორმაციის მინისტრი — მოჰამედ ჰაჯ-ჰამუ.

მდგომარეობა იემენში

ბეირუთი, 27 სექტემბერი. (საკდესი). როგორც იემენიდან იუწყებიან ამ ქვეყანაში მოხდა სამხედრო გადატრიალება. დამბობილია მონარქიული რეჟიმი. იემენი რესპუბლიკად გამოცხადდა, იუწყებიან, რომ ძალაუფლება იქ სამხედრო პირთა ხელშია.

ქაირო, 28 სექტემბერი. (საკდესი). იემენის დედაქალაქის სანის რადიომ დღეს გამოაქვეყნა ცნობა იმის შესახებ, რომ შეიქმნა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, რომელიც აჯანყებულმა არმიამ მოახდინა 26 სექტემბერს ღამით.

შექმნილია პრეზიდენტის საბჭო, რევოლუციური სარდლობის საბჭო და მინისტრთა საბჭო. პოლკოვნიკი აბდალა სალალი დაინიშნა რევოლუციური სარდლობის საბჭოს თავმჯდომარედ, იემენის არმიის მთავარსარდლად და მთავრობის მეთაურად. პოლკოვნიკ აბდალა სალალს სახელმწიფო გადატრიალების წინ ეკავა იემენის არმიის მთავარსარდლის პოსტი და იემენიდან მიღებული ცნობების თანახმად, როგორც ჩანს, ხელმძღვანელობდა გამოსულას მონარქისტული რეჟიმის დასამხობად.

მენის საგაზეთო ცნობით, იემენის სამხედრო სარდლობამ, რომელიც „იემენის რევოლუციის“ სახელით გამოდის, გამოაქვეყნა განცხადება, რომელიც განსაზღვრავს იემენის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკას. ამ განცხადებაში აღნიშნულია, რომ იემენი მზად არის დამყარდეს დიპლომატიური ურთიერთობა ორგანიზაციის წევრების შესაბამისად მეგობრული ურთიერთობა ყველა ქვეყანასთან, რომელიც პატივს სცემს მის დამოუკიდებლობას. მაგრამ, ხაზგასმით აღნიშნულია განცხადებაში, იგი იბრძოლებს იმპერიალიზმის წინააღმდეგ, უცხოელის ყოფილგვარი ჩარევის წინააღმდეგ. იემენი მხარს უჭერს ყველა თავისუფალი არაბი ხალხის გაერთიანებას ერთიან ერად და იმუშაებს არაბთა ხალიფადარობისა და არაბთა ქვეყნების ლიგის განმტკიცებისათვის.

,,ალ ალ“ — ,,ალ ალ“

ალ ალ — ალ ალ — ალ ალ — ალ ალ

ახალი ამბები

ახალი ამოცანების დონეზე

კულტურის სახალხო უნივერსიტეტების ხელმძღვანელთა რესპუბლიკურ თათბირზე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში გაიმართა კულტურის სახალხო უნივერსიტეტების ხელმძღვანელთა რესპუბლიკური თათბირი. მასმა მონაწილეებმა მოისმინეს და განიხილეს რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოს უფროსის ა. კალანდარიშვილის მოხსენება „რესპუბლიკის კულტურის სახალხო უნივერსიტეტების 1961—1962 სასწავლო წლის შედეგები და ახალი სასწავლო წლისათვის მზადება“.

ახალი სასწავლო წლისათვის გეგმებისა და პროგრამების განხილვას მიეძღვნა თავისი გამოსვლა საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ პროფესორმა **დ. ენუქიძემ.**

თბილისის კულტურის უნივერსიტეტების მუშაობა თათბირის მონაწილეებს გააცნო საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის საქალაქო განყოფილების გამგეობის პასუხისმგებელმა მდივანმა **შ. მახარაძემ,** ხოლო თელავისა და გორის კულტურის უნივერსიტეტების მუშაობა — ამ უნივერსიტეტთა რექტორებმა — დოცენტმა **ა. გვენცაძემ** და დოცენტმა **გ. ჩიტაიამ.**

კულტურის სახალხო უნივერსიტეტების ხელმძღვანელთა რესპუბლიკური თათბირის მუშაობა შეაჯამა კულტურის უნივერსიტეტების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა **ი. დოლიძემ.** (საქდესი).

უცნობი სურათები საქართველოზე

ამ რამდენიმე თვის წინათ ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა წერილი, სადაც აღნიშნული იყო, რომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. ჩიტაიამ იტალიიდან მიიღო XVII საუკუნის მოღვაწის ქრისტოფორე კასტელის ნახატების მიკროფილები.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში ამჟამად მიმდინარეობს კასტელის ალბომში მოცემული მასალის ტექსტისა და სურათების ამოკითხვა-გაშიფრვა. საგულისხმოა, რომ ტექსტები მოცემულია იტალიურ, ბერძნულ, სპარსულ ენებზე, აგრეთვე ქართული, მეგრული სიტყვები ლათინური ასოებით.

საინტერესოა, რა ახალი მასალები გამოვლინდა ალბომების დამუშავების შედეგად. ამ მიზნით ვეწვიეთ პროფესორ გ. ჩიტაიას. მან აღნიშნა:

კასტელის ალბომების დამუშავების შედეგად ირკვევა მრავალი ახალი მონაცემი XVII საუკუნის საქართველოს კულტურისა და ყოფის დარგში. იშვიათ მომენტებს ვხვდებით ალბომის სურათებში. აქ აღმოჩნდა მეფე თეიმურაზ I-ის პორტრეტი. მისი ქალიშვილის შესანიშნავი სურათი, როდესაც იგი იმერეთის დედოფალი იყო. აღსანიშნავია კასტელის მიერ შესრულებული ილორის ეკლესიის ნახატი, სოფელ ხობის ხედი ეკლესიითურთ, სხვადასხვა სახის ნაგებობების, სოფლის კარშიდამოების ნახატები და სხვ.

კასტელის გრაფიკულ ნამუშევრებში ვხვდებით ჩერქეზი ქალის და კაცის რამდენიმე სურათს, ქართველი, ჩინელი, იტალიელი, ბერძენი, თათარი და სხვა ეროვნების ქალების პორტრეტებს. საერთოდ კასტელის აქვს ქალების სურათების მთელი გალერია.

საინტერესოა საფრანგეთის ელჩის უნიკალური პორტრეტი, შესრულებული კონსტანტინეპოლში, როდესაც კასტელი სტუმრად იყო მასთან. ასეთივე უნიკალური ხასიათისაა სურათი XVII საუკუნის პირველი მეოთხედის მოსკოვის ელჩისა საქართველოში, რომლის აუდენციას მეფესთან თვით ავტორი დასწრებია 1649 წელს.

ერთ ფრიად ღირსშესანიშნავ სურათში მოცემულია დიპლომატიური კორპუსის ნადიმობა საქართველოს მეფესთან, რომელსაც კასტელი დასწრებია. ეს სურათი საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, თუ რა დიდი მასშტაბის დიპლომატიური ურთიერთობა არსებულა უცხო სახელმწიფოებთან საქართველოს სამეფო კარზე.

კასტელის ალბომის გაშიფრვა გრძელდება. განსაკუთრებულ მზადდება ალბომის I ტომი, რომელსაც ჩვენი მკითხველი 1964 წელს მიიღებს.

„პალიასტომის ტბა“ ეკრანზე

კინორეჟისორი ს. დოლიძე და სტუდია „ქართული ფილმის“ მსახიობთა ჯგუფი ამთავრებს მუშაობას მხატვრულ კინოფილმზე „პალიასტომის ტბა“, ეგნ. ნინოშვილის ამავე სახელწოდების მოთხრობის მოტივებზე სცენარი შექმნა რეჟისორმა ს. დოლიძემ. ოპერატორია დ. მარგიევი.

კარგად მოიქცა კინოსტუდია, როცა ქართული სცენისა და ეკრანის ძველ ოსტატებთან ერთად გადაიტანა ბოიფენზე ახალგაზრდობა. ასე, მაგალითად, ფილმში მთავარ როლებს ასრულებენ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი სსრ კავშირის სახალხო არტისტი ს. ზაქარაიძე (ივანე) და ახალგაზრდა ნიჭიერი კინომსახიობი ნ. შარია (დარჩია), რომელსაც კინომაყურებელი იცნობს ფილმით „ენგურის ნაპირებზე“. ფილმში მონაწილეობენ მსახიობები ვ. ნინოშვილი (ფატი), მ. წულუკიძე (თავადის ქალი) და სხვ.

„პალიასტომის ტბა“ პირველი სრულმეტრაჟიანი ფართოეკრანიანი ქართული ფილმი იქნება.

შემოქმედებითი ჯგუფი გადაღებებს ამთავრებს ჩოხატაურში.

სურათზე: კადრი ფილმიდან „პალიასტომის ტბა“.

მთის სიმღერები

ამ ზაფხულში სვანეთის სხვადასხვა კუთხეში შეიძლებოდა შეხვედროდით საშუალო ტანის ენერგიულ ქალს პატარა პორტატული მაგნიტოფონით ხელში.

ეს იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი, მუსიკის მცოდნე თამარ მამალაძე, რომელიც მესტიის რაიონში შემოქმედებითი მივლინებით იყო სვანური სასიმღერო ფოლკლორის შესაგროვებლად და შესასწავლად.

— სვანეთში მოგზაურობის დროს, — გვიამბობს თ. მამალაძე, — ვიყავი მესტიაში, სოფლებში იფარში, ზეგანში, ლატალში, ენაში, ცხუმარში, სადაც მაგნიტოფონის ლენტზე ჩავწერე ძველი სვანური სიმღერები საუკეთესო სოფლელ მომღერალთა შესრულებით.

ს. თბილელი.

სურათზე: თ. მამალაძე (მარჯვნივ) მაგნიტოფონზე იწერს სვანურ ხალხურ სიმღერებს მესტიის კულტურის სახლის ვოკალური ჯგუფის შესრულებით.

ფოტო ავტორისა.

მოკლედ

□ **ზორეული** კენიიდან წარმოგზავნილი ახალგაზრდები სწავლობენ სოხუმში საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში. ისინი ძირითად სპეციალობებთან ერთად ეუფლებიან რუსულ და ქართულ ენებს.

□ **ამბროლაური.** (საკ. კორ.). საგასტროლოდ ჩამოსულმა კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის მსახიობთა კოლექტივმა სარაიონო კულტურის სახლში დადგა ფ. ლოტეს დრამა „მკვლელი“.

ამბროლაურელი მაყურებელი გულთბილად შეხვდა სპექტაკლის წამყვანი როლების შესრულებლებს — სახელმწიფო პრემიის ლაურეატს ა. ომიძეს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტებს ლ. ვაჩნაძეს, გ. კოტავას და სხვ.

25 წლის შემდეგ

კარებში ცნობისმოყვარე ბავშვები შეჯგუფებულან. ყოველ მათგანს სურს თუნდაც ცოტა თვალით დაინახოს ის, რაც კლასში ხდება. დღეს თბილისის 41-ე საშუალო სკოლაში მოვიდნენ ისინი, ვინც ზუსტად 25 წლის წინათ დაამთავრა იგი, მოვიდნენ ამ სკოლის პირველი გამოშვების კურსდამთავრებულნი.

აღელვებული არიან შეხვედრით რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგები ა. ვ. ტიმოფეევა, ნ. ვ. ზარეშო, ე. ვ. დაშკევიჩ-მესხი, რომლებმაც მეოთხედი საუკუნის წინათ გზა დაულოცეს თავიანთ აღზრდილებს დიდ ცხოვრებაში; მათ კი მთელი თავიანთი ცხოვრებით, შრომით დაადასტურეს, რომ ჩვენი დიადი სამშობლოს ღირსეული მოქალაქენი არიან.

მერხებს შემოუსხდნენ — პარტიის აფხაზეთის სალოქო კომიტეტის მდივანი ვ. ა. სობოლევი, პოდპოლკოვნიკი ლ. დ. კარახანოვი, ინჟინერი ლ. ი. სკობლო, მოსკოვის ლენინგრადის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი ს. ნ. პოპოვი, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის მთავარი სამმართველოს უფროსი გ. ი. ხუციშვილი, გაზეთ „გუდოკის“ კორესპონდენტი ს. ნ. ტერ-ოგანესიანი, აფხაზეთის დამსახურებული აგრონომი ვ. ნ. ალექსანდროვი და სხვები.

გულითადი საუბრის შემდეგ გაიმართა შეხვედრის საზეიმო ნაწილი. გულთბილად მიესალმნენ თავიანთ ყოფილ მოსწავლეებს პედაგოგები ა. ვ. ტიმოფეევა და ს. ვ. დაშკევიჩ-მესხი. გულწრფელი სიტყვებით მიმართეს სტუმრებს პირველკლასელმა მარინე ქმოწზერმა და მეცხრე კლასის მოსწავლემ, კომკავშირელმა ირინე მარეინისმა. პიონერებმა ყვავილები უძღვნეს სტუმრებს.

დამსწრეთ მოგონებანი გაუზიარეს 1937 წლის კურსდამთავრებულებმა — თბილისის უნივერსიტეტის ლექტორმა ლ. ა. პირადოვმა, მოსკოვის ერმოლოვას სახელობის თეატრის ლიტერატურული ნაწილის გამგემ ნ. გ. შახბაზოვმა, ინჟინერმა მ. ს. პოლოსინამ

შეკრებილებმა ფეხზე ადგომით პატივი სცეს თავიანთი ამხანაგების ხსოვნას, რომლებიც სამშობლოსათვის ბრძოლებში დაიღუპნენ დიდი სამამული ომის წლებში.

შეხვედრის დასასრულს გაიმართა თვითმოქმედების კონცერტი. (საქდესი).

ზემოთხვევა

მოხუცი შეეგა დათვს

ჯავის რაიონის სოფელ ჯალაბეთში ცხოვრობს 88 წლის კოლმეურნე ხარიტონ ბაგაევი. იგი გამოცდილი მონადირეა.

ამას წინათ კოლმეურნეობის ნახირს დათვი შეეჩვია. კოლმეურნეობის პირუტყვის ხსნა ნადირისაგან მოხუცმა მონადირემ ითავა. ხ. ბაგაევმა თავის ვაჟიშვილთან ერთად მიაგნო დათვის ბუნაგს და საშიხელი მხეცი მოკლა.

ვლ. ოდიკაძე.

ავალთ სირიუსზე!

ქართველი მეცნიერები მოგვითხრობენ საინტერესოსა და მნიშვნელოვანზე

რედაქციაში შემოვიდა შეკითხვა: როგორ ხსნის ფარდობითობის თეორია შორეულ ცდომილებზე კოსმოსური მოგზაურობის შესაძლებლობას?

ამ რთულ შეკითხვაზე ვუპასუხებთ, რომ ფარდობითობის თეორია ადასტურებს ადამიანის კოსმოსური მოგზაურობის შესაძლებლობას მზის სისტემის გარეთ შორეულ ვარსკვლავებამდე. დასკვნას ასეთი შესაძლებლობის შესახებ ფარდობითობის თეორია აკეთებს ეინშტეინის მიერ აღმოჩენილი კანონების საფუძველზე.

ფარდობითობის თეორიის თანახმად ფიზიკური პროცესები მოძრავ მატერიალურ სისტემებში მიმდინარეობენ უფრო ნელა, ვიდრე უძრავ სისტემებში. ეს მოვლენა ეკვივალენტურია დროის შენელებისა ანუ მისი გახანგრძლივებისა მოძრავ სისტემაში. ამრიგად; დრო არ არის აბსოლუტური, იგი ერთნაირად არ მიმდინარეობს ყველა სისტემაში. დრო ფარდობითია. მისი მიმდინარეობა დამოკიდებულია ათვლის სისტემის მოძრაობის სიჩქარეზე. ყოველ მოძრავ მატერიალურ სისტემას თავისი საკუთარი დრო აქვს, ეს ის დროა, რომელსაც აჩვენებს სისტემასთან ერთად მოძრავი და იმავე სისტემის მიმართ უძრავი საათი. რაც უფრო სწრაფად მოძრაობს მატერიალური სისტემა, მით უფრო ნელდება სხვა პროცესებთან ერთად მისი საათის სვლა, და მით უფრო ხანგრძლივდება დრო მოძრავ სისტემაში (უძრავი სისტემიდან დაკვირვების მიხედვით). ხოლო სინათლის სიჩქარით მოძრავ სისტემაში ყოველი პროცესი გრძელდება უსასრულოდ დიდი დროის განმავლობაში.

სინათლის გავრცელების სიჩქარე სიცარიელეში რიცხვობრივად უდრის 300 ათას კილომეტრს წამში. ფარდობითობის თეორიის თანახმად არის ზღვრული სიჩქარე, რომელიც აღემატება ყველა მატერიალური სხეულების სიჩქარეს. ასეთი სიჩქარის მიღწევა არ შეუძლია უძრაობის მახის

45 წლის მამა, 65 წლის შვილი

მქონე არც ერთ ნაწილაკს, ვინაიდან C სიჩქარით მოძრაობისათვის ნაწილაკს უნდა მივანიჭოთ უსასრულოდ დიდი კინეტიკური ენერგია. C სიჩქარით მოძრავ სისტემაში დრო უსასრულოდ გაგრძელდებოდა, რაც ფაქტიურად ნიშნავს ყოველგვარი პროცესების შეჩერებას ასეთ სისტემაში და მის ყოფნას დროის გარეშე.

კოსმოსური რაკეტა მომავალში შესაძლებელია გაშვებულ იქნას C-სთან დიდად მიახლოებული სიჩქარით. ასე, მაგალითად, რაკეტას შესაძლებელია მიენიჭოს ისეთი სიჩქარე, რომ დედამიწის დროით რაკეტის 50 წლის შემდეგ დაბრუნებისას რაკეტის დროით გაიაროს 5 წელმა. თუ რაკეტით გაემგზავრა მამა 40 წლის ასაკში და დედამიწაზე დატოვა 15 წლის შვილი, მაშინ მამა რაკეტის წელთაღრიცხვის მიხედვით დაბრუნების მომენტისათვის იქნება 45 წლის ასაკში (გარეგნულად და ფიზიკური მდგომარეობის მიხედვით), ხოლო დედამიწის წელთაღრიცხვის მიხედვით მას დახვდება 65 წლის შვილი. ამრიგად, კოსმოსური მოგზაურობის მეშვეობით მამა შესაძლებელია გარეგნულად გახდეს შვილზე უმცროსი. თუ ჩვენ კიდევ უფრო გავზრდით რაკეტის სიჩქარეს და ვამოძრავებთ მას ძალზე დიდ მანძილებზე, მაშინ შესაძლებელია კოსმონავტს არაფერი დახვდეს დედამიწაზე, რაც მან დატოვა, ან შესაძლებელია მას დახვდეს საუკუნეობით და ათას წლობით წინ წასული კაცობრიობა. ამრიგად, კოსმოსური რაკეტით სწრაფი მოძრაობის წყალობით რაკეტის თანამგზავრს შეუძლია მიაღწიოს დროს, რომელიც მას შემდეგ უნდა დახვდეროდა, ან რომელსაც ის შესაძლებელია არც მოსწრებოდა. რაკეტის თანამგზავრი ამით წინ გაუსწრებს დროს, ამიტომ სინათლის სიჩქარესთან დიდად მიახლოებული სიჩქარით კოსმოსური რაკეტის მოძრაობას მომავლისაკენ მოძრაობას უწოდებენ.

საჭიროა შევნიშნოთ, რომ დროის გახანგრძლივებას თვით მოძრავი დამკვირვებელი სრულიადაც არ შენიშნავს, რადგანაც მის სისტემაში სათანადოდ ნელდებიან ყველა პროცესები. წინა მაგალითის მიხედვით ის, რაც დედამიწაზე მოხდება 50 წლის განმავლობაში, რაკეტაში ხდება 5 წლის მანძილზე. კერძოდ, დედამიწაზე უძრავად მყოფი საათის ისარი გაიკეთებს 36 500-მდე ბრუნს (ყოველი ბრუნი შეადგენს 12 საათს), ხოლო იმავე კონსტრუქციის და უძრავ საათთან თავიდანვე შეთანხმებული სვლის მქონე საათის ისარი რაკეტაში გაიკეთებს 3.650-მდე ბრუნს, ე. ი. ათჯერ ნაკლებს. ამიტომ, თუ დედამიწაზე დარჩენილთათვის რაკეტის დაბრუნებამდე გაიარა 50 წელმა, კოსმონავტისათვის გაიარა მარტო 5 წელმა.

ბევრ ურწმუნო მეცნიერს მომავლისაკენ მოგზაურობა ფანტაზიად მიაჩნია. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ პროცესების შენელება მოძრავ სისტემებში და მის შესაბამისად დროის გახანგრძლივება ფარმოდგენს ცდით დადასტურებულ ფაქტს. როგორც აღვნიშნეთ, დროის გახანგრძლივების ეფექტი შესამჩნევია სინათლის სიჩქარესთან დიდად მიახლოებული სიჩქარეების შემთხვევაში. სწორედ ასეთი სიჩქარეებით მოძრაობენ კოსმოსური ნაწილაკები. აღმოჩნდა, რომ ერთ-ერთი ასეთი ნაწილაკების, ე. წ. M-მეზონების სიცოცხლის ხანგრძლივობა,, როდესაც მათ შთანთქამს ნივთიერება (ე. ი. როდესაც ისინი უძრავ მდგომარეობაში იმყოფებიან), დაახლოებით 30-ჯერ ნაკლებია მათი არსებობის ხანგრძლივობაზე, როდესაც ისინი მოძრაობენ ატმოსფეროში. ამას მეცნიერები იგებენ მეზონების მიერ გავლილი მანძილებისა და სიჩქარის მიხედვით. ამრიგად, ცდა გვიჩვენებს, რომ ეჭვს ადამიანის მომავლისაკენ მოგზაურობის შესახებ საფუძველი არ აქვს.

უპირველეს ყოვლისა კოსმოსური მოგზაურობა შესაძლებელია განხორციელდეს მზის სისტემის ერთ-ერთი მახლობელი ვარსკვლავისაკენ, სირიუსისაკენ, რომელიც ჩვენგან დაშორებულია 6 სინათლის წელიწადით (სინათლის წელიწადი ეწოდება მანძილს, რომელსაც სინათლე გადის ერთი წლის განმავლობაში, იგი უდრის 9.500 მილიარდ კილომეტრს). გამოთვლა ფარდობითობის თეორიის ფორმულების მიხედვით გვიჩვენებს, რომ თუ რაკეტას გავუშვებთ 0,92 C სიჩქარით (სინათლის სიჩქარის 92%), მაშინ რაკეტა დედამიწის დროით დაბრუნდება 13 წლის შემდეგ, ხოლო რაკეტის დროით 5 წლის შემდეგ. ეს ნიშნავს, რომ ამ ხნის განმავლობაში დედამიწის მცხოვრებნი დაბერდებიან 13 წლით, ხოლო კოსმონავტი — 5 წლით. რაკეტის სიჩქარის შემდგომი შედარებით უმნიშვნელო ზრდა იწვევს დედამიწის და რაკეტის დროს შორის განსხვავების მკვეთრ ზრდას. მაგალითად, თუ რაკეტას სირიუსისაკენ 0,99 C სიჩქარით გავუშვებთ მაშინ დედამიწის დროით რაკეტა დაბრუნდება უკან 12 წლის შემდეგ (ე. ი. იმდენ დროში, რამდენიც დაახლოებით სჭირდება სინათლეს წინ და უკან მოძრაობისათვის). რაკეტის დროით კი იგი დაბრუნდება დედამიწაზე 10 თვის შემდეგ.

რაკეტის სიჩქარის თანდათანობითი მიახლოებით სინათლის სიჩქარესთან რაკეტის დაბრუნების დრო რაკეტის დროით მკვეთრად მცირდება დედამიწის დროსთან შედარებით. ეს შემცირება ისეთია, რომ თეორიულად ადამიანის სიცოცხლის განმავლობაში (რაკეტის დროით) კოსმონავტს შეუძლია მიაღწიოს კოსმოსის ნებისმიერად დაშორებულ წერტილს. ამის მიღწევას კოსმონავტი შეძლებს რაკეტის სიჩქარის არა განუსაზღვრელი ზრდით (ეს სიჩქარე, როგორც ვიცით, არ შეიძლება აღემატოს C-ს, არამედ რაკეტაში მიმდინარე პროცესების შენელებისა და საკუთარი დროის გახანგრძლივების წყალობით. ამიტომ, თუ რაკეტის მოძრაობის ხანგრძლივობა: რაკეტის დროით ადამიანის სიცოცხლის ფარგლებშია, დედამიწის დროით ის შეიძლება გაგრძელდეს მილიარდობით წლების განმავლობაში. იგი დაახლოებით უდრის დროს, რომელიც დასჭირდება სინათლის სხივებს მივიდნენ შორეულ კოსმოსურ ობიექტთან და დაბრუნდნენ უკან (თანამედროვე ტელესკოპებით შესაძლებელია დავინახოთ მეტაგალაქტიკები, რომლებიც დაშორებული არიან ჩვენგან დაახლოებით მილიარდი სინათლის წელიწადით).

ასეთი მოგზაურობა, რასაკვირველია, შესაძლებელია თეორიულად, ხოლო მისი პრაქტიკული განხორციელება დიდ ტექნიკურ სიძნელეებს შეიცავს, რის გამო მისი განხორციელება საკმაოდ შორეული მომავლის საქმეა. ამჟამად გამორკვეულია, რომ კოსმოსური მოგზაურობა დიდ მანძილებზე დაშორებულ ობიექტებამდე (პირველ რიგში სირიუსამდე). შეიძლება განხორციელდეს ე. წ. ფოტონური რაკეტით, რომელიც იმოძრავებს სინათლის სიჩქარით მოძრავი ნაწილაკების ფოტონების გამოსხივების წყალობით. ფოტონური რაკეტის მოწყობა თანამედროვე ტექნიკის პირობებში შეუძლებელია, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ მომავალში ის აგებული იქნება.

დოცენტი ვლ. ქირია.

ქართველი მეცნიერები მოგვითხრობენ საინტერესოსა და მნიშვნელოვანზე

დედამიწა და მეზეორები

ამას წინათ დედამიწამ გაიარა პერსეიდის მეტეორთა ერთეული ყველაზე დიდი ნაკადი, რომელმაც თავისი სახელწოდება მიიღო პერსეოსის თანავარსკვლავედისაგან. ამ თანავარსკვლავედიდან, როგორც ეჩვენება დამკვირვებლებს, მოჰქრიან მეტეორები. მზის გარშემო მოძრაობისას ამ ნაკადის მეტეორები ყოველწლიურად მოეშურებიან დედამიწისაკენ უდიდესი — წამში დაახლოებით 60 კილომეტრი სიჩქარით. მეტეორთა ნაკადის ყველაზე მკვრივ ნაწილთან შეხვედრა ჩვეულებრივ 13 აგვისტოს წინაღამით ხდება.

მკვლევარებმა გამოარკვიეს, რომ მიუხედავად პერსეიდების შედარებითი სიმკვრივისა, სხვა ნაკადებთან შედარებით (ახლა კი ცნობილია ათზე მეტი ასეთი ნაკადი), ამ ნაკადის ნაწილაკები ერთმანეთისაგან დაახლოებით 300-350 კილომეტრ მანძილზე იმყოფებიან, ხოლო თვითეული მეტეორული სხეულის საშუალო მასა გრამის ნაწილაკებს შეადგენს. უფრო მსხვილი მეტეორიტები კოსმოსის სივრცეში გაფანტული არიან კიდევ უფრო დიდ მანძილზე: მათ შორის ათასობით და ათეულ ათასობით კილომეტრია.

მეტეორები ატმოსფეროში რომ შემოიჭრებიან, ძლიერდებიან, იწყებენ მკაფიოდ ნათებას (ამ მომენტში ჩვენ ცაზე ვხედავთ „ვარსკვლავის ჩამოვარდნას“) და უფრო ხშირად ისე აორთქლდებიან, რომ დედამიწის ზედაპირს ვერ აღწევენ. მიწაზე ეცემიან მხოლოდ ყველაზე დიდი მეტეორიტები. ფრიად საინტერესოა, რომ მეტეორიტების ხარჯზე დედამიწა ყოველ დღეღამეს წონაში იმატებს რამდენიმე ათეულ ტონას!

მეტეორთა შესწავლას უკვე დიდი ხანია აწარმოებენ ასტრონომები სხვადასხვა მეთოდებით: ვიზუალურად, ე. ი. თვალით, ფოტოგრაფიის, რადიოლოკაციის დახმარებით. დაკვირვება ხელს უწყობს მეტეორთა მოძრაობის სიჩქარის, მათი ფრენის მიმართულების, მასის, აგრეთვე დედამიწაზე ჩამოვარდნილთა რაოდენობის გამორკვევას. მეტეორების გამოკვლევით შეიძლება უფრო ზუსტად გამოვარკვიოთ ჩვენი პლანეტის ატმოსფეროს ზედა ფენების თვისებები.

მეტეორებზე სისტემატურ დაკვირვებას. მრავალი წლის განმავლობაში აწარმოებენ სრულიად საკავშირო ასტრონომიულ-გეოდეზიური საზოგადოების წევრები. ამ საზოგადოების განყოფილებები საბჭოთა კავშირის ბევრ ქალაქში მუშაობენ. განსაკუთრებით აქტიურად აკვირდებიან მეტეორებს მოსკოვში, სიმფეროპოლში, რიაზანში. მაგალითად, საერთაშორისო გეოფიზიკური წლის დროს სიმფეროპოლის მეტეორთა სადგურზე დაკვირვების 540 საათის განმავლობაში რეგისტრირებულ იქნა 22.000 მეტეორი. რიაზანელმა დამკვირვებლებმა გამოიანგარიშეს, რომ 9 აგვისტოს პერსეიდების ნაკადში მეტეორული ნაწილაკები ერთმანეთისაგან 765 კილომეტრ მანძილზე იყვნენ, 12 აგვისტოს — 237, ხოლო 17 აგვისტოს — 535 კილომეტრზე.

არის თუ არა იმის საშიშროება, რომ მეტეორული სხეულები შეხვდნენ კოსმოსურ ხომალდს? ასტრონომიული დაკვირვებანი და დედამიწის ხელოვნური თანამგზავრებისა და კოსმოსური რაკეტების საშუალებით კვლევა მოწმობს, რომ ასეთი საშიშროება პრაქტიკულად არ არსებობს.

რომან ხოტინოკი,
სრულიად საკავშირო ასტრონომიულ-გეოდეზიური საზოგადოების მოსკოვის განყოფილების მეტეორთა ნაწილის გამგე.

საგანგებო „ახალი ამბები“.

საინტერესოა ვიცოდეთ

მეოთხე გამარჯვება

მოსკოვი. 29 სექტემბერი. (ტელეფონით სპეც. კორ.). მსოფლიო პირველობაზე მატჩის მეექვსე პარტიაში კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა ნონა გაფრინდაშვილმა.

ამ შეხვედრაში ისევე, როგორც მეორე და მეოთხე პარტიებში გათამაშდა სიცილიური დაცვა. ამჯერად ნ. გაფრინდაშვილმა ფსიქოლოგიურად სავსებით სწორად გვერდი აუარა უკვე ბრძოლის ნაცნობ გზებს და აირჩია ახალი გაგრძელება, რასაც როგორც სჩანს ბიკოვა არ ელოდა.

ამის საპასუხოდ მსოფლიოს ჩემპიონმა განახორციელა მხედრის ფრიად საეჭვო განვითარება ფლანგზე, რამაც გამოიწვია ტემპის დაკარგვა. ამასობაში თეთრებმა დაამთავრეს ფიგურების განვითარება და აშკარა უპირატესობა მიიღეს ცენტრში. მე-16 სვლაზე ბიკოვამ შეცდომა დაუშვა, რაც მაშინვე გამოიყენა ნ. გაფრინდაშვილმა და აიძულა მეტოქე დაეთმო პაიჯი.

პარტიის შემდგომი სტადია ქართველმა მოჭადრაკემ აუსტად ჩაატარა და

„ერეგის ფურნირზე“

გულბარეთის საკუთრობა ქალაქ ვარნაში გრძელდება XV საჭადრაკო ოლიმპიადა. ფინალის მეორე ტურში სსრ კავშირის გუნდმა დაამარცხა იუგოსლავიის მოჭადრაკეები ანგარიშით 2,5:1,5. გუშინ მესამე ტურში საბჭოთა მოჭადრაკეები შეხვდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდს. ანგარიშია 1,5:0,5 ჩვენი გუნდის სასარგებლოდ. 2 პარტია გადადებულია.

მხედრებმა ალამი დაუშვეს

რამდენიმე დღის მიმზიდველი ასპარეზობის შემდეგ დამთავრდა საქართველოს პირად-გუნდური პირველობის გათამაშება ცხენოსნობაში.

ისევე, როგორც გასულ სეზონებში, ამჯერადაც რიცხვით მეექვსეჯერ ზედიზედ გამარჯვება თბილისელმა ცხენოსნებმა მოიპოვეს.

წარმატებით წარიმართა შეხვედრები პირადი პირველობისათვის, სადაც მხედრებმა კარგი შედეგები აჩვენეს. ცხენის გაწვრთნაში „საშუალო პრიზზე“ და „დიდ პრიზზე“ უძლიერესები იყვნენ ა. დგებუაძე და მ. ერისთავი (ცხენები „ბარგუზინი“ და „ფრეგატი“). სადა დოღში 2.000 მეტრზე ბრძოლა ძირითადად ზუგდიდისა და ფოთის წარმომადგენლების ვ. დარასელიასა და დ. მალანიას შორის მიმდინარეობდა (ცხენები „რუარი“ და „სანდომირი“), გაიმარჯვა პირველმა. დაბრკოლებათა გადალახვაში „საქართველოს თასზე“ პირველი ადგილი დაიკავა გ. კვარაცხელიამ (ზუგდიდი, ცხენი „სუნგური“).

ტენისი

ბოსტონი. 29 სექტემბერი. (ტელეფონით სპეც. კორ.). მსოფლიო პირველობაზე მატჩის მეექვსე პარტიაში ბიკოვა ერთ-ერთ ბრძოლაში ბ. ნ. ალანიას ორ ბურთს ბრუნავს. (ცხენები „ბარგუზინი“ და „ფრეგატი“). სადა დოღში 2.000 მეტრზე ბრძოლა ძირითადად ზუგდიდისა და ფოთის წარმომადგენლების ვ. დარასელიასა და დ. მალანიას შორის მიმდინარეობდა (ცხენები „რუარი“ და „სანდომირი“), გაიმარჯვა პირველმა. დაბრკოლებათა გადალახვაში „საქართველოს თასზე“ პირველი ადგილი დაიკავა გ. კვარაცხელიამ (ზუგდიდი, ცხენი „სუნგური“).

მატჩი მსოფლიოს პირველობაზე

მეოთხე გამარჯვება

43-ე სვლაზე სავსებით დამაჯერებელი, ამასთანავე ეფექტური გამარჯვება მოიპოვა.

ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 4,5:0,5 ნ. გაფრინდაშვილის სასარგებლოდ.

30 სექტემბერს მოეწყობა მე-5 პარტიის დამთავრება, სადაც პოზიცია საყაიმოა.

ლ. არონინი,
საერთაშორისო ოსტატი.

... ოლიმპიური ... ...

სტარტზეა „ოქროს დუქინი“

გუშინ დედაქალაქის „სპარტაკისა“ და დინეტკის „მატტორის“ მატჩით დაიწყო ოქროს მედლებისათვის მებრძოლი კოლექტივების დასკვნითი ასპარეზობა ფეხბურთში.

მატჩი სპარტაკელთა დიდი უპირატესობით წარიმართა, რასაც მოწმობს მისი შედეგიც 4:0. ამ გამარჯვებით მოსკოვის „სპარტაკმა“ ოქროს ქუთათა ბალანსი კიდევ ორი ქულით გაზარდა, მაგრამ მას გათამაშების ცხრილში ადგილი არ შეუცვლია, კვლავ მეხუთეზე იმყოფება.

დღეს თბილისის „დინამო“ თავის მოედანზე შეხვდება კიშინიოვის „მოლდოვას“, რომელსაც 7 ქულით უკანასკნელისწინა მე-11 ადგილი უკავია.

* * *

გუშინ თბილისში გაიმართა „ა“ კლასის ფეხბურთელთა კოლექტივების დუბლიორთა მორიგი მატჩი. თამაშობდნენ ადგილობრივი „დინამოსა“ და კიშინიოვის „მოლდოვას“ გუნდები. გაიმარჯვეს დინამოელებმა ანგარიშით 3:1.

... ...

... ...

... ...